ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

4 მარტიდან
გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად
გაბრიელ გარსია
მარკესი
ერთი ტყვეობის ამბავი
ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




პარასკევი, 4 მარტი, 2016 №53 (6979) ფასი: 50 თეთრი

# გიორგი კვირიკაშვილი თინა ხიდაშელს გადაყენებით დაემუქრა



გვ.2

## გია ხუხაშვილი: „თავდაცვის მინისტრი ხელისუფლებას აშანტაჟებდა“





## თამაზ მეჭიაური: „კოალიციაში არეული რასა და ცისფერსისხლიანები არ უნდა იყვნენ“



## რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილი ნაციონალებზე დიქტატს აგრძელებს“



გვ.3

### სასამართლო სისტემაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა

## ლია მუხაშავრია: „ხელისუფლებამ დანაშაულში შემჩნეული ადამიანები უფრო გააძლიერა“



გვ.4



## ანდრო ბარნოვი: „ნაციონალები კონკურენტებს იდეებს ჰპარავენ“



გვ.3

### ყოფილი ნაციონალი სააკაშვილს საპრეზიდენტო ბიბლიოთეკას ედავება

ISSN 1987-9385

## სოსო შატბერაშვილი: „მომავალი პარლამენტი მრავალსუბიექტიანი იქნება“





გვ.4

## დავით მაჭარაშვილი: „ფარმაცევტულ ბაზარზე უხარისხო სამკურნალო საშუალება არ უნდა მოხვდეს“



გვ.3

# გიორგი კვირიკაშვილი თინა ხიდაშელს გადაყენებით დაემუქრა

## გია ხუხაშვილი: „თავდაცვის მინისტრი ხელისუფლებას აშანტაჟებდა“

შორენა მარსაგიშვილი







გოგი თოფაძისა და რესპუბლიკელების დაპირისპირებამ იმაზე სერიოზული მასშტაბები მიიღო, ვიდრე ვინმეს წარმოედგინა. გუშინ, 3 მარტს, გიორგი კვირიკაშვილი იძულებული გახდა, ამ საკითხზე კიდევ ერთი განცხადება გაეკეთებინა. წინა განცხადებაში მან თინა ხიდაშელის მხარე დაიჭირა, ახლა კი მის წინააღმდეგ წავიდა. ექსპერტთა ნაწილის მტკიცებით, პრემიერმა თავდაცვის მინისტრს თანამდებობის დატოვებისკენ მოუწოდა.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ხიდაშელთან ომში ჩართული თოფაძე მარტო არ იყო და ის ბიძინა ივანიშვილის პოზიციებს ახმოვანებდა. როგორც ხელისუფლებასთან დაახლოებულმა წყარომ გვითხრა, იგივე პოზიცია უკავიათ კოალიციაში შემავალ სხვა პარტიების წარმომადგენლებსაც. რესპუბლიკელებს რომ ვერავინ იტანს, ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.

როგორც ჩვენი წყარო ამტკიცებდა, რესპუბლიკელებმა თავისუფალი დემოკრატების წასვლის შემდეგ არაერთხელ წაუყენეს ივანიშვილს ულტიმატუმი. ნაპრემიერალი რამდენჯერმე წავიდა დათმობაზე, მაგრამ მასაც აევსო მოთმინების ფიალა.

საგანგებო განცხადების გაკეთებამდე გიორგი კვირიკაშვილი პარტია „ქართული ოცნების“ წევრებს შეხვდა. შეხვედრა 28 თებერვალს გაიმართა. მეოცნებეები საჯარო საუბრებში ამტკიცებენ, რომ დაპირისპირებაზე არ უსაუბრიათ, პირადულ საუბრებში კი ადასტურებენ, რომ პრემიერთან რესპუბლიკელების ზედმეტ ამბიციებზეც იყო საუბარი.

ულტიმატუმებს, როგორც ჩანს, რესპუბლიკელები პრემიერსაც უყენებენ. მინისტრის ყოფილი მოადგილე სანდრო ბრეგაძე ამტკიცებს, რომ ხიდაშელმა მას კატეგორიულად მოსთხოვა მინისტრის მოადგილის გადაყენება.

ეს ინფორმაცია არავინ დაადასტურა, კვირიკაშვილის მიერ 3 მარტს გაკეთებულმა განცხადებამ კი ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი.

– რამდენიმე დღის წინ გავაკეთე პოლიტიკური განცხადება იმის შესახებ, რომ კოალიციის წევრების მხრიდან თავდაცვის მინისტრის მისამართით ამ ტიპის საჯარო ბრალდებები მიუღებელია და დღესაც ამ აზრზე ვრჩები, თუმცა, ამავე დროს, მინდა განვაცხადო, რომ თავდაცვის მინისტრი პირველ რიგში მთავრობის წევრია და მხოლოდ ამის შემდეგ არის საკუთარი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. სწორედ მისი სტატუსიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მიუღებელია მისი მხრიდან მსგავს დაპირისპირებაში ჩართვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ჩვენი ჯარის პოლიტიკური პროცესებისგან მაქსიმალური დისტანცირება. დაუშვებელია, რომ ჩვენთვის საამაყო ჯარისკაცები და ოფიცრები პოლიტიკაში აღმოჩნდნენ ჩართული, – ვკითხულობთ პრემიერის მიმართვაში.

გიორგი კვირიკაშვილი დაპირისპირებულ მხარეებს დაპირისპირების შეწყვეტისკენ მოუწოდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის რადიკალური ზომების მიღებით იმუქრება.

– კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ჩვენს პოლიტიკურ პარტნიორებს, ნებისმიერი სადავო საკითხი მხოლოდ კოალიციის შიგნით განიხილონ; წინააღმდეგ შემთხვევაში, მე, როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და კოალიციის ლიდერი, აუცილებლად განვახორციელებ ცვლილებებს, რომლებიც უზრუნველყოფს მთავრობის სტაბილურ ფუნქციონირებასა და პოლიტიკური პროცესის ჯანსაღ ჩარჩოებში მოქცევას, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

პრემიერის ეს განცხადება რესპუბლიკელებისთვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო. სამაგიეროდ, მრეწველები გაიბადრნენ სავსე მთვარეებივით.

მრეწველთა ლიდერი პრემიერის განცხადების შინაარსით კმაყოფილია და კვირიკაშვილის შეფასებას ადეკვატურს უწოდებს.

– კმაყოფილი ვარ, ძალიან ობიექტური განცხადება გააკეთა ბატონმა პრემიერ-მინისტრმა, – აღნიშნა თოფაძემ.

თავდაცვის მინისტრის მიმართ გამოთქმულ შენიშვნებზე მრეწველთა ლიდერს საუბარი აღარ სურს.

– ხიდაშელზე საერთოდ არ ვსაუბრობ, ყველაფერი გადაწყდება პოლიტსაბჭოზე, – აცხადებს დეპუტატი.

პრემიერს განცხადებას უწონებს მეორე დიდი მრეწველი ზურაბ ტყემალაძე. მისი თქმით, ჯარის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა დაუშვებელია.

ტყემალაძის თქმით, თუ დაპირისპირებული პარტიების მიმართ რამე ღონისძიება გატარდება, ეს პროცესი ორივე პარტიას უნდა შეეხოს.

დეპუტატი გვპირდება, რომ თუ კოალიციის ლიდერი გადაწყვეტს, კოალიცია მრეწველებმა უნდა დატოვონ, ისინი ამას ისტერიკის გარეშე გააკეთებენ:

– მინდა დავეთანხმო პრემიერს იმაში, რომ ვინ დაიწყო, როგორ დაიწყო, თავისთავად ჩანს ამ განცხადებიდანაც, დავეთანხმო იმაში, რომ ჯარის პოლიტიზება და ამ საკითხში ჩართვა ნამდვილად არ შეიძლება, ასევე არ შეიძლება თავდაცვის მინისტრისგან მსგავსი განცხადებების გაკეთება. რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს კოალიციის ლიდერმა, ჩვენ მას დავემორჩილებით. თუ იქნება მიღებული გადაწყვეტილება, ალბათ, ორივეს მიმართ უნდა იყოს და არა ერთის. მინიშნებაც თუ იქნება იმის შესახებ, რომ ჩვენ კოალიციისთვის ზედმეტი ვართ, უხმოდ და ყოველგვარი ისტერიკის გარეშე მივიღებთ გადაწყვეტილებას, განსხვავებით ყველა იმ პარტიისგან, რომლებიც ისტერიკას მართავენ, – განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ.

საპირისპირო განწყობა აქვთ რესპუბლიკელებს. პარტიის ლიდერ ხათუნა სამნიძის განცხადებით, კვირიკაშვილის განცხადებამ გაურკვევლობა გამოიწვია.

– პრემიერის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ გაურკვევლობა გამოიწვია. მდგომარეობა დაიძაბა და გართულდა. ჩვენ არ გავაკეთებთ კომენტარებს მანამ, სანამ პრემიერთან შეხვედრა არ გაიმართება, – აღნიშნა სამნიძემ.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიგი წერეთელი დარწმუნებულია, რომ პრემიერმა ბიძინა ივანიშვილის პოზიცია გაახმოვანა. მას ეჭვი არ ეპარება. რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად კოალიციაში კიდევ უფრო გამწვავდება დაპირისპირება.

– კვირიკაშვილის განცხადებამ აჩვენა, რომ კოალიციაში დაპირისპირება იმაზე რთულ ფაზაშია, ვიდრე ეს საზოგადოებას ჰგონია. ფაქტია, რომ ივანიშვილს რესპუბლიკურ პარტიასთან დაკავშირებით გარკვეული გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს. უბრალოდ, კვირიკაშვილის საშუალებით გაავრცელა მესიჯები – თითი დაუქნია მრეწველებსა და „რესპუბლიკელებს, – აღნიშნა წერეთელმა.

მისი თქმით, როცა გაერთიანებაში პოლიტიკური ხედვების თანხვედრა არ არის და იქ ადამიანები მილიარდერის ფულის გამო არიან, ეს კოალიცია ადრე თუ გვიან დაიშლება.

კვირიკაშვილის განცხადებას გაგებით ეკიდება ექსპერტი გია ხუხაშვილი. მისი აზრით, თინა ხიდაშელმა პოლიტიკური შანტაჟი დაიწყო და დამსახურებული შენიშვნაც მიიღო.

– თავდაცვის მინისტრი, რომელიც პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს და ქვეყნის გეოპოლიტიკურ არჩევანს საკუთარ თავს უკავშირებს, ეს ძალიან სახიფათო განცხადებებია. ჯარისკაცების აპელირებით კი ხდება მათი ჩარევა პოლიტიკურ დაპირისპირებაში, რაც დაუშვებელია და პრემიერ-მინისტრი ვალდებული იყო, გაეფრთხილებინა თავდაცვის მინისტრი, – აღნიშნა ხუხაშვილმა.

მისი თქმით, თინა ხიდაშელს თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შემდეგ პარტიის წევრობა უნდა შეეჩერებინა.

პარლამენტის ვიცესპიკერი მანანა კობახიძე პრემიერ-მინისტრის განცხადებას დროულს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ეს კოალიციაში არსებული დაპირისპირების დასასრულებლად გაკეთდა.

– პრემიერმა ძალიან მკაფიო განცხადებები გააკეთა. მე ვფიქრობ, ეს იყო ძალიან დროული და ძალიან საჭირო. ეს განცხადება გაკეთდა სწორედ იმისთვის, რომ დასრულდეს ეს დაპირისპირება, რაც, სამწუხაროდ, არის კოალიციის სუბიექტებს შორის და ჩვენი ყველა ნაბიჯი იყოს მიმართული ქვეყნის ინტერესებიდან და საზოგადოების საჭიროებებიდან და არა პირადი ანტიპათიებიდან გამომდინარე, – განაცხადა მანანა კობახიძემ.



### თამაზ მეჭიაური: „კოალიციაში არეული რასა და ცისფერსისხლიანები არ უნდა იყვნენ“

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური კვირიკაშვილს საქმეში ჩარევას უწონებს, ამასთან, ამ ეტაპზე აკონკრეტებს, ვის შეიძლება მოუხდეს თანამდებობის დატოვება, სამაგიეროდ, იცის, რომ ცვლილებების შემთხვევაში კოალიცია გასუფთავდება.

– პრემიერის პრეროგატივაა და მან უნდა გადაწყვიტოს. უკეთეს შემთხვევაში, კოალიცია გასუფთავდება. ჩემი აზრით, ერთი მხრივ, კოალიცია არ უნდა შედგებოდეს არეული რასისგან, ცისფერსისხლიანებისა და პლებეებისგან, მეორე მხრივ – მონებისგან. ის უნდა იყოს თანაბარი როგორც პიროვნებების კუთხით, ასევე პოლიტიკური ჯგუფებით.

ზოგიერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი – რიგითი სადღაც თავს უფლებას აძლევს, რომ კოალიციის დამაარსებლით, ერთი მხრივ, ისარგებლოს, ის, რაც მისგან აქვს, მიიღოს და, მეორე მხრივ, კრიტიკის ქარცეცხლში საჯაროდ გაატაროს. ამაზე კი მისი არცერთი თანაპარტიელი საწინააღმდეგო განცხადებას არ აკეთებს. ამასთანავე, ერთი სიტყვის შეშლისთვის სხვას – კოალიციის სხვა წევრს ლამის ცოცხლად მარხავენ. ასეთი განსხვავებული მიდგომები სანამ იქნება, კოალიციას ობიექტურობის საფუძველი არ ექნება. ამ შეფასებას კონკრეტული ადრესატი რომ არ ჰყავდეს, არ ვიტყოდი, – განაცხადა მეჭიაურმა.

დიასპორების საკითხთა მინისტრის ყოფილი მოადგილე სანდრო ბრეგაძე აცხადებს, რომ კვირიკაშვილმა ხიდაშელს თანამდებობიდან წასვლისკენ კულტურულად მოუწოდა.



## დონალდ ტუსკი მიგრანტებს – ნუ ჩამოხვალთ ევროპაში

ევროპული საბჭოს პრეზიდენტი დონალდ ტუსკი მიგრანტებს მოუწოდებს, ევროპაში არ ჩავიდნენ. როგორცeuronews.ge აღნიშნავს, ამის შესახებ ტუსკი „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე წერს.

– ნუ ჩამოხვალთ ევროპაში, ნუ დაუჯერებთ ტრეფიკიორებს, არცერთი ევროპული ქვეყანა არ იქნება სატრანზიტო, – მიმართავს ტუსკი მიგრანტებს.

ამასთან, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი მხარდაჭერას უცხადებს საბერძნეთს და ამბობს, რომ „ევროკავშირი საბერძნეთს არ მიატოვებს“.

„მე მივესალმები 700-მილიონიანი დახმარების პაკეტს“, – წერს ევროპული საბჭოს პრეზიდენტი.

ალსანიშნავია, რომ დონალდ ტუსკი „ტვიტერში“ მიგრანტებისადმი მოწოდების გაკეთებამდე საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ ალექსის ციპრასს შეხვდა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილი ნაციონალებზე დიქტატს აგრძელებს“

ნონა ცაბაძე

ნაციონალურმა მოძრაობამ საარჩევნო სამზადისი უკვე დაიწყო. ამბობენ, რომ ისინი სერიოზულ რებრენდინგს გეგმავენ. ცნობილი გახდა ისიც, რომ საარჩევნო სიას სათავეში ყოფილი პირველი ლედი, სანდრა რულოვსი ჩაუდგება. რა ჩაიფიქრეს ნაციონალებმა? მათი გეგმების გაანალიზებას „ახალი თაობა“ ექსპერტ და ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძესთან ერთად შეეცადა.

***— ბატონო რამაზ, ამბობენ, რომ ნაციონალების სიას სათავეში სანდრა რულოვსი ჩაუდგება. ეს რა ტაქტიკაა ან რამდენად მოიგებენ ამით?***

— სანდრა რულოვსის სიის თავში დასმით, გარკვეული თვალსაზრისით, განაცხადია იმის თაობაზე, რომ ნაციონალური მოძრაობისთვის ჩვეული პოლიტიკური სახეები საზოგადოებისთვის მიუღებელია. რულოვსი არ არის პოლიტიკაში ჩართული ისე, რომ, ასე ვთქვათ, პოლიტიკური მოტივებით იყოს გამართლებული მისი პირველ ნომრად ჩასმა. სწორედ იმიტომ, რომ პოლიტიკაში არ არის ჩართული და საზოგადოების სიმპათია მისდამი ყოველთვის იყო და არსებობს, აი, ამ სიმპათიის და არა პოლიტიკის ხარჯზე სურთ, მიიღონ ხმები. ეს უკვე აღიარებაა იმისა, რომ მათი პოლიტიკა წამგებიანია და ეს პოლიტიკური ფიგურები ამ საზოგადოებისთვის მიუღებელია.

***— სანდრა რულოვსი სააკაშვილის მეუღლეა, საზოგადოების თვალში ისიც ასოცირდება იმ 9-წლიან რეჟიმთან. ამისთ რას მოიგებენ?***

— სიმპათია არის მის მიმართ იმ თვალსაზრისით, რომ ქართულად მღერის, მეგრულად მღერის, საქართველოს მიმართ პოზიტიურად განწყობილია, მომხიბვლელი ქალბატონია და ასე შემდეგ. წმინდა ადამიანური ნიშნებით დადებით განწყობას ხშირად იღებს საზოგადოებაში. ალბათ, ამ ადამიანურ პოზიტივზეა აგებული მათი სტრატეგია.

***— რებრენდინგს ვაწარმოებთო და რამდენად არის ეს ნაციონალური მოძრაობის რებრენდინგი?***

— რებრენდინგი იქნებოდა მაშინ, ძველი პოლიტიკური ფიგურები ახლით რომ ჩანაცვლებულიყო, თორემ ეს დეკორაციაა, ბოლოს და ბოლოს.

***— ანუ სახეების სიმცირეს განიცდიან?***

— ალბათ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში აქტიური სახეები შეემატათ, როგორც ჩანს, მათი წინ წამოწევა მაინც არ არის მისაღები და სხვა უფრო მიზანშეწონილად მიაჩნიათ.

***— ამ ხუთეულში ასევე სახელდება ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძის სახელი და გვარი. ამაზე რას იტყოდით?***

— ეს თუ რეალური იქნა, ამით ძალიან ცუდ სამსახურს გაუწევენ გიორგი ქადაგიძეს.

***— რატომ?***

— სულ იმაზე იყო ბრალდება, პოლიტიკური ინტერესია, პოლიტიკაში ჩართული ხარ და პოლიტიკურ ინტერესს ატარებს ეროვნული ბანკიო და ახლა უკვე ამ ბრალდებას არგუმენტად დაემატება მისი სიაში ჩასმა. ეს ამ მხრივ ძალიან ცუდი სამსახურია. ამიტომ, არა მგონია, რომ ეგ ვერსია გამართლდეს. ამ უხერხულობაზე არ წავლენ.

***— სანდრა რულოვსმა განაცხადა, მე ბუნებით რეჟისორი ვარ, მე ვუკვეთ, სხვები ასრულებენო. როგორ გაიგეთ მისი ეს ნათქვამი?***



— პირველი ნომერი თუ იქნება სანდრა რულოვსი, ზოგადად, ვინც პირველი ნომერია, ის უკვეთს და სხვები ასრულებენ. დავუშვათ, გაიმარჯვა ნაციონალურმა მოძრაობამ, თეორიული დაშვება გავაკეთოთ, მაშინ რულოვსი ან პარლამენტის თავმჯდომარე, ან პრემიერ-მინისტრი უნდას იყოს. ეს ნომერი ამის ნიშანია. შესაბამისად, მან უნდა დაუკვეთოს და სხვებმა უნდა შეასრულონ. ასეთია თამაშის წესი.

***— ამბობენ, რომ ნაციონალები სააკაშვილის თამაშის წესებით თამაშობენ. ითქვა ისიც, რომ მიშა ძველ სახეებს იშორებს. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?***

— სააკაშვილის დიქტატი კვლავაც გრძელდება ამ პარტიაზე. თვითონ რულოვსის ამოტივტივებაც ამითაა განპირობებული. ეს სააკაშვილის იდეა უნდა იყოს. საერთოდ, ბევრ პროცესს ეტყობა მისი ხელი და მისი ხასიათი. ის, რომ პარტიამ რებრენდინგი ვერაფრით ვერ მოახერხა ისეთი, რომ რაღაც სიახლე შემოიტანოს. არ არიან ახალი პოლიტიკური სახეები, ისინი ყველაფერს ძველს იმეორებენ. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ არაფორმალურად მაინც გრძელდება ერთისა და იმავე გუნდის მართვა. თითქმის ყველა პარტიაში გვაქვს ერთი და იგივე მდგომარეობა, რომ მმართველი არ იცვლება. ჩვენ განწირული ვართ ერთისა და იმავე პარტიების ყურებისათვის.

***— მიუხედავად ამ ცვლილებებისა, რისი შანსი აქვს არჩევნებში ნაციონალურ მოძრაობას?***

— მე მაინც სოციოლოგიაზე ვარ ორიენტირებული და ვენდობი იმ მონაცემებს, რომლებიც 10-დან 15%-მდე პროგნოზირებდა ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების რიცხვს. სწორედ ამ ზონაში მოძრაობს მისი რეიტინგი და სწორედ რეიტინგის შესაბამისი შანსი აქვს არჩევნებზე.

***— რამდენად შეძლებენ ნაციონალები, რომ წინასაარჩევნოდ სიტუაცია დაძაბონ? ითქვა ისიც, რომ ეს აქციები, გაფიცვები სწორედ მათი მხრიდან არის მართული. რას ფიქრობთ თქვენ?***

— შეუძლებელი არაფერია, მით უმეტეს, აგრესიული სიტუაციის შექმნა. კონფლიქტური სიტუაციის შექმნა საქართველოში დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ეს კონფლიქტები ისეთი მასშტაბური ველარ იქნება, რომ სახელმწიფოსთვის შექმნას სირთულეები. პატარა კონფლიქტებს მოერევა ქვეყანა, ხოლო დიდი კონფლიქტი, რომლის მოგვარებაც ქვეყანას გაუჭირდება, ნაციონალურ მოძრაობს რომც სურდეს, ამის პოტენციალი აღარ აქვს. მათ მიერ გამართულ აქციებზეც კი ხალხია არაა იმ რაოდენობის, რამდენიც საქართველოში სერიოზულ აქციებზე გამოდის ხოლმე. მცირე მხარდამჭერთა ჯგუფი ჰყავთ, მაგრამ არა იმდენი, რომ პროცესები კატასტროფული მიმართულებით წაიყვანონ.

***— კოალიციის შექმნას ხომ არ შეეცდებიან რომელიმე ოპოზიციურ ძალასთან?***

— ამას მეტ-ნაკლებად გამოვრიცხავ, იმიტომ რომ, როგორც ვხედავთ, მათ ყველა ოპოზიციური ძალა ერიდება. ამიტომ მათ თვითონ შეიძლება სურდეთ, რომ ასეთი ალიანსი შეიქმნას, თუმცა ამის მსურველები ნაკლებად არიან, რადგან საზოგადოების თვალში ნაციონალებთან გაერთიანებული ადამიანი პრაქტიკულად პასუხისმგებლობას იღებს ყველა იმ ბრალდებაზე, რომლებსაც მათ საზოგადოება უყენებს.

# ანდრო ბარნოვი: „ნაციონალები კონკურენტებს იდეებს ჰპარავენ“

## ყოფილი ნაციონალი სააკაშვილს საპრეზიდენტო ბიბლიოთეკას ედავება

შორენა მარსაგიშვილი

მეოცნებეების მსგავსად, ერთმანეთის წყევლა-კრულვაზე ნაციონალებიც გადავიდნენ. ანდრო ბარნოვმა პარტია ცოტა ხნის წინ დატოვა, რაღაც პერიოდის განმავლობაში მდუმარებაში იყო, ახლა კი მათ მარაზმატიკებს უწოდებს. როგორც ყოფილი ნაციონალის ნაამბობიდან




ირკვევა, მას მოქმედი ნაციონალები ესხმოდნენ თავს და გამყიდველს ეძახდნენ.

ბარნოვი ამტკიცებს, რომ არ გაყიდულა და იმ მიზეზებს ამხელს, რის გამოც პარტია დატოვა.



— ჩემი ძალიან ღრმა რწმენით, ენმ უნდა გახსნილიყო ახალი ენერგიული ლიდერების მიმართ. ამის ნაცვლად ჩაიკეტნენ და ბრძოლა დაუწყეს ახალ ხალხს ყველა დონეზე – ცენტრალურში, რეგიონებში თუ ლოკალურ დონეებზეც კი. ვინც ენთუზიასტი და იდეის ტიპი იყო, ჯერ გამოიყენეს და, როგორც კი საფრთხემ გადაიარა, გვერდზე გასწიეს, – წერს ფეისბუქურ აღსარებაში ბარნოვი.

ის ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთ წევრს კონკურენტებისთვის მესიჯების მოპარვაში ადანაშაულებს.

– ვისაც სახელმწიფოს ინტერესები აინტერესებს, იმაზე იფიქროს, რომ როცა პარტია თუნდაც ასი ათასი მყარი მხარდამჭერით ცდილობს ფონს გასვლას და არა – ფართო მასებზე ზემოქმედებას, როცა არც არაფერი აქვთ სალაპარაკო და კონკურენტებს ჰპარავენ უნამუსოდ მესიჯებს, როდესაც ოფისიდან გასვლა ეზარებათ და მხოლოდ ამ მყარი ელექტორატის იმედზე არიან, ე.ი. ეს პარტია მებრძოლი კი არა, უნამუსო და მატყუარა ბიუროკრატია, – მიმართავს ნაციონალებს ყოფილი ნაციონალი.

ის სააკაშვილის მიმართაც უკმაყოფილოა, არადა, თავის დროზე მისი ეშხით საპრეზიდენტო ბიბლიოთეკასაც კი ჩაუდგა სათავეში.

– მიმაჩნია, რომ მიშა პარტიას კი არ უნდა გამოჰკიდებოდა, არამედ უფრო ფართო მესიჯზე ეფიქრა და უფრო ფართო საზოგადოებრივი მოძრაობისთვის უნდა მიეცა გასაქანი. არცერთ მომენტში ეს არ გააკეთა. ბოლოს, როცა მე მაინც წამოვედი პარტიიდან და საზოგადოებრივ მოძრაობას ჩავუყრი სათავეს-მეთქი, გამოვაცხადე, დამირეკა, ჩემი პარტიიდან რადგან წახვედი, ბიბლიოთეკაშიც, იძულებული ვარ, სხვა მოვძებნოო, მითხრა. ვიცოდი რომ ასე იქნებოდა და მაინც დავტოვე პარტია, – ამბობს ბიბლიოთეკის ყოფილი გამგე.

ბიბლიოთეკიდან გაძევებული ბარნოვი ამტკიცებს, რომ ბიბლიოთეკის შექმნის იდეა მას ეკუთვნოდა.

ბარნოვი ამტკიცებს, რომ ნაცმოძრაობაში დაპირისპირებაა. ამის დასტურად გიგა ბოკერიას განცხადება მოჰყავს, რომელმაც რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ნაციონალების საარჩევნო სიაში სანდრა რულოვსი არ იქნება.

– ამ შემთხვევაში მე ბოკერიას გავამართლებ, რადგან, არაფორმალური მმართველობა რომ არ გვინდა, ბიძინას იმიტომ ვებრძვით ანუ ერთს მეორით ვერ ჩავანაცვლებთ, ვინც გინდა იყოს ის. მიშას უნდა აერჩია დიდი საზოგადოებრივი მოძრაობის გზა და არა – პარტიული ჭიდაობა სიაში ადგილებზე. ამ შემთხვევაში ყველა ადგილიც მისი იქნებოდა. არ მოიქცა ასე და ძალიან მაგრად შეცდა, – აცხადებს ბარნოვი.

ყოფილი თანაპარტიელები მას გაგირჩებაში ადანაშაულებენ. ბარნოვი ამტკიცებს, რომ გირჩებში არ შესულა.

# დავით მაჭარაშვილი: „ფარმაცევტულ ბაზარზე უხარისხო სამკურნალო საშუალება არ უნდა მოხვდეს“

ჯანდაცვის ჟურნალისტთა ასოციაციისა და ინტერნეტპორტალ ჯანდაცვა.გე-ის ორგანიზებით, ჯანდაცვა.გე-ის პრესკლუბი ამოქმედდა, რომლის პირველი სტუმარი იყო ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით მაჭარაშვილი. საუბრის მთავარი თემა იყო მედიკამენტების ხარისხი. მაჭარაშვილის განცხადებით, ეს არის რთული და სენსიტიური საკითხი, რომელიც საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს, რადგან პრობლემა თითოეულ ადამიანს უშუალოდ ეხება.



– როგორი სიტუაციაა საქართველოში მედიკამენტების ხარისხის თვალსაზრისით? ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებ, ორი სიტყვით საკითხის პრეისტორიას უნდა შევეხო, – განაცხადა დავით მაჭარაშვილმა.

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში 2009 წელს განხორციელდა ძირეული ცვლილებები და ხარისხის კონტროლის მთელი რიგი ბერკეტები ამოღებული იყო კანონმდებლობიდან.

ლიბერალურმა მიდგომებმა გამოიწვია ის, რომ საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე გაიზარდა დაშვებული მედიკამენტებისა და ამ საქმიანობით დაკავებული დაწესებულებების რაოდენობა.

დღეისათვის საქართველოს ბაზარზე დარეგისტრირებულია 16 ათასი დასახელების ფარმაცევტული პროდუქტი. აქედან 11 ათასზე მეტი არის ეროვნული და აღიარებითი რეჟიმით შემოსული, ხოლო 5000 – ე.წ. პარალელური იმპორტით. ასევე ფუნქციონირებს 5 ათასზე მეტი ფარმაცევტული დაწესებულება, აქედან 1300-ზე მეტი საბითუმო დისტრიბუტორია.

– შედარება მინდა გავაკეთო, რა იყო საკანონმდებლო ცვლილებამდე და რა ხდება დღეს. მედიკამენტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, რამაც გარკვეული სირთულეების წინაშე დააყენა ჩვენი სამსახური.

ხარისხის კონტროლის თვალსაზრისით, 2009 წლის ოქტომბრის თვემდე ანუ საკანონმდებლო ცვლილებამდე, არსებობდა კონტროლის სამი ბერკეტი: სამკურნალო საშუალებების შერჩევითი კონტროლი, სავალდებულო სერიული კონტროლი, წინასწარი კონტროლი, რომელიც ითვალისწინებდა იმ ჯგუფის შემოწმებას, რომელიც არ ექვემდებარებოდა სერიულ შემოწმებას.

შესაძლებელი იყო ასევე რეგისტრაციის პროცესში წარმოდგენილი სარეგისტრაციო ნიმუშების კონტროლი და მათი შესაბამისობის დადგენა. სამკურნალო საშუალებების ზრდამ ისედაც შეამცირა მათზე ხარისხის კონტროლის მოცულობა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, ორი ბერკეტი – სავალდებულო და წინასწარი კონტროლი საერთოდ ამოიღეს კანონმდებლობიდან, – განაცხადა დავით მაჭარაშვილმა, – დღეს დარჩენილია მხოლოდ შერჩევითი კონტროლი. ეს გულისხმობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვას შემდგომი ლაბორატორიული შემოწმების მიზნით.

პროგრამის ფარგლებში შეუძლებელია ყველა სამკურნალო საშუალების კონტროლი, რისი იმპორტიც საქართველოში ხდება.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ლია მუხაშავრია: „ხელისუფლებამ დანაშაულში შემჩნეული ადამიანები უფრო გააძლიერა“

## სასამართლო სისტემაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა

ნათია ხურცილავა



სამართლის ექსპერტი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

**ლია მუხაშავრია:**

– სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, ცხრა წლის განმავლობაში მოსამართლეთა კორპუსი ბოთლში გამომწყვდეული ჯინი იყო. ახლა, როგორც ჩანს, ბოთლიდან ჯინის ამოხეთქვის დრო დადგა. ზეწოლის, დაშინების შემდეგ თავისუფლების შეგრძნება იწვევს ხოლმე ასეთ პროცესებს.

ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლების ყველაზე მნიშვნელოვანი შტოა. დაგროვილია უამრავი პრობლემა გასული წლებიდან მოყოლებული დღემდე და მათი გადაჭრა აღარ ითმენს. ცხადია, ეს ყველაფერი ამ სკანდალების ფონზე მიმდინარეობს, რომელსაც საზოგადოება ყოველდღე თვალყურს ადევნებს. როდესაც ხელისუფლება სასამართლოს კონტროლს იწყებს, ეს დიდხანს ვერ გრძელდება და შემდეგ უკვე ასეთ პროცესებს იწვევს.

***– რა პროცესის მოწმენი ვართ დღეს, რა ხდება სასამართლო სისტემაში, ეს არის თავისუფლებისთვის ბრძოლა თუ, პირიქით, ვინ უკეთ მოერგება ხელისუფლებას?***

– ნაწილი ცდილობს თავისი უფლებებისა და სტატუსისთვის ბრძოლას, მის აღდგენას, რომელიც სისტემის მსხვერპლი იყო, აქ არ ვგულისხმობ მურუსიძეს, ამ საკითხზე ივანიშვილის პოზიციას ვერ გავიზიარებ. მეორე ნაწილი კი, რომელსაც დანაშაული აქვს ჩადენილი, ცდილობს, რომ არ დაკარგოს პოზიციები. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ ეს არის ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო განსწავლული და ყველაზე უფრო კვალიფიციური იურისტების ძალიან დიდი ნაწილი. ამიტომ იმთავითვე ცხადი იყო, რომ ასე მარტივად ეს პროცესი არ წავიდოდა.

***– რა დააკლო ხელისუფლებამ ამ პროცესს?***

– ხელისუფლება ამ ვითარებისთვის მზად არ აღმოჩნდა. მას არ ჰყოფნის არც გამოცდილება და არც კვალიფიკაცია, მე ვიტყოდი, არც კომუნიკაციის უნარი, რომ სწორად წარმართოს მოსამართლეთა კორპუსთან საუბარი. სკანდალები კიდევ უფრო გაღრმავდება და შეიძლება კიდევ უფრო გამწვავდეს.

***– რა არის გამოსავალი?***

– ჩვენ ხელისუფლებას ვაფრთხილებდით, რომ სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოსვლა და შემდეგ მისი წაყრუება ძალიან საშიში იყო. საშიში იყო პირველ რიგში ხელისუფლებისთვის. სამართლიანობის აღდგენა კომპლექსური საკითხია და ის მოიცავს სასამართლო სისტემაში არსებული ვითარების შეცვლასა და მის სრულ გათავისუფლებას. ეს არ მოხდა და ამან გამოიწვია ვულკანური პროცესები. თუ ამის ქვეშ ხელისუფლება მოჰყვება, ეს მისი დამსახურებაც იქნება. ახლა ძალიან გვიან არის, ვფიქრობ, ისინიც ხვდებიან ამას და დაიწყო სრულიად არაკეთილსინდისიერი გარიგებები და რეაგირება, როდესაც ხელისუფლება ცდილობს, დააშოშმინოს ეს პროცესი.

***– ამის გამოვლინება იყო საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის გადაყენება პოსტიდან?***

– არა მხოლოდ ეს. ის, რაც აუხსნელია ჩემთვისაც და საზოგადოებისთვისაც, რა ხდება სასამართლო კორპუსის შიგნით, როგორ იქცევა იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რატომ იქცევა ასე, რა იწვევს ამ პროცესებს, ეს არის მორევი, რომლის ახსნაც ძალიან რთულია.

ჩვენ ვართ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის მოწმენი. ამიტომ ხელისუფლებას არ დარჩენია რესურსი, რომ ამ საკითხს გზა მოუნახოს. საზოგადოების საყურადღებოდ უნდა ვთქვა, რომ ამ არჩევნებზე პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც სამართლიანობის აღდგენაზე, სასამართლო სისტემის რეფორმაზე დაიწყებს საუბარს, ძალიან ყურადღებით უნდა მოუსმინოს და ძალიან მკვეთრი მექანიზმები უნდა დაგვისახოს, თუ როგორ აპირებს ამის მიღწევას.

***– რამდენად იქნებოდა გამოსავალი არაკანონიერი განაჩენის, უკანონობაში მხილებული მოსამართლეების სისტემიდან დათხოვნა, როგორც თავის დროზე სააკაშვილი მოიქცა?***

– საკითხის ასე დასმა, ვფიქრობ, სწორი არ არის.

***– სწორედ ამას ითხოვენ გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციები, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე.***

– ბევრი ვიმუშავეთ ამ საკითხზე უცხოელ ექსპერტებთან და რამდენიმე მოდელი იქნა შემუშავებული. მაგალითად, თუ მოხდებოდა გადასინჯვა და ამ საჩივრებში მოსამართლეები იქნებოდნენ მოხსენიებულნი, რომლებმაც უსამართლობას ხელი შეუწყვეს, ამ მოსამართლეებს ეს უნდა ელიარებინათ და საჯაროდ მოენანიებინათ. ამ შემთხვევაში პატიება მოხდებოდა მათ მიმართ და ისინი თავიანთი ნებით დატოვებდნენ თანამდებობას. ამ შემთხვევაში არ იქნებოდა არანაირი სისხლის სამართლის დევნა. ეს იქნებოდა საყოველთაო შერიგების ძალიან კარგი პროცესი. ყველას დაპატიმრება შეუძლებელი იყო და არც იქნებოდა გამართლებული. ამ გზით ბუნებრივად მოხდებოდა გაწმენდა.

2012 წლის 2 ოქტომბერს ბევრ მათგანს მართლაც ჰქონდა მოლოდინი, რომ დაიჭერდნენ, მაგრამ დაინახეს, რომ არავინ იჭერს, მერე ნახეს, რომ არავინ ერჩის, მეტიც, განმარტებასაც კი არ სთხოვენ, მერე უკვე ამოქმედდა დამნაშავის ფსიქოლოგია, რომ აქეთ შემოგიტიოს. სწორედ ამ ლოგიკით განვითარდა მოვლენები.

ხელისუფლების ბრალეულობა ის არის, რომ დანაშაულში შემჩნეული ადამიანები უფრო გააძლიერა, რომლებიც შეიარაღებული არიან ცოდნით, გამოცდილებით და, რაც მთავარია, მოსამართლის მანტიით, იმუნიტეტით. ახლა ამ ჯგუფის დამარცხება გაცილებით რთულია, ვიდრე თავის დროზე იქნებოდა.

***– ქალბატონო ლია, ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, რომ სამართლიანი სასამართლოს განცდის გარეშე მისი წარმატება შეუძლებელია?***

– „არა არს მშვიდობა სამართლიანობის გარეშე“. ეს არის სენტენცია, რომელიც არცერთ დროსა და სივრცეში არ იცვლება. პირველ რიგში, სამართლიანობა სასამართლოში უნდა იგრძნობოდეს.

მოქალაქისთვის სახელმწიფო, პირველ რიგში, არის სამართლიანი სასამართლო და სხვა არაფერი. მე მიმუშავია დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც იურისტს და ძალიან კარგად მესმის იქაური მოქალაქეების მაღალი შეგნება და ლიბერალობა, რომელიც ეყრდნობა ურყევ განცდას, რომ მისი უფლება სასამართლოშია დაცული.

მერწმუნეთ, დიდი ბრიტანეთის სასამართლოში რომ შეხვალთ, კედლებიც კი ასხივებენ სამართლიანობას, რომ აქ ადამიანი არ დაიჩაგრება. იქაურ მოსამართლეს რომ შეხედავ, რომელსაც ხმაც კი არ ამოუღია, გიტოვებს განცდას, რომ ყოველგვარი უკანონობისგან დაგიფარავს, რომ ის არის სამართლიანობის გარანტი. სამწუხაროდ, ჩვენთან მსგავსი განცდა წარმოუდგენელია მაშინაც კი, როდესაც მოსამართლე კანონიერ გადაწყვეტილებას იღებს.

ერთადერთი კარგი ამ პროცესში ის არის, რომ საზოგადოებამ გააცნობიერა მოსამართლისა და სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელობა. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება ხელიდან არ გაუშვებს პროცესს, რომ მან მოიპოვოს სამართლიანი სასამართლოს უფლება.

ვფიქრობ, ამას თავად სისტემაც გააცნობიერებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ, როგორც დემოკრატიული საზოგადოება, ვერ შევდგებით.

# სოსო შატბერაშვილი: „მომავალი პარლამენტი მრავალსუბიექტიანი იქნება“

მარიამ მჭედლიშვილი

არსებობს მოსაზრება, რომ მომავალ პარლამენტში გადაწყვეტილებებს ისევ „ქართული ოცნება“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მიიღებენ. საუბრობენ იმაზეც, რომ „ქართული ოცნების“ მთავარი ოპოზიცია მისივე რიგებიდან იქმნება. ამ ვარაუდებს არ იზიარებს მემარცხენე ალიანსის გენერალური მდივანი სოსო შატბერაშვილი. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იგი ამბობს, რომ მომავალი პარლამენტი რამდენიმესუბიექტიანი იქნება.

**სოსო შატბერაშვილი:**

– გამოვრიცხავ, რომ მომავალ პარლამენტში მხოლოდ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა მოხვდნენ. მომავალ საკანონმდებლო ორგანოში ერთი რომელიმე სუბიექტი ვერ გახდება გადაწყვეტილებების მიმღები. „ქართული ოცნება“ რომც დაიშალოს, ეს მნიშვნელოვნად არ აისახება პოლიტიკურ სიტუაციაზე. მომავალი პარლამენტი პლურალისტული იქნება. აქედან გამომდინარე, მთავრობა გახდება კოალიციური. პირველად საქართველოს ისტორიაში მივიღებთ კოალიციურ მთავრობას.




***– ანუ „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე კონფლიქტი ვერ შეცვლის ძალთა მოსალოდნელ განლაგებას?***

– როცა ერთ ბლოკში გაერთიანებულ პარტიებს ჭირივით სძულთ ერთმანეთი, მაშინ ჯობია, ისინი ერთმანეთისაგან გაცალკევდნენ. ამ კოალიციის დაშლა არ ნიშნავს იმას, რომ პარლამენტში არ მოხვდებიან სხვა ძალები. არჩევანს ხალხი გააკეთებს. მოსახლეობას არ უნდა, რომ გადაწყვეტილებებს ერთი ძალა იღებდეს, მთავარი ოპოზიცია კი ნაციონალური მოძრაობა იყოს. 2012 წელს საპარლამენტო არჩევნების დროს ხალხმა ერის გადასარჩენად და საძულველი ნაცმოძრაობის დასამარცხებლად ცხელ გულზე მისცა ხმა ბიძინა ივანიშვილსა და მის მიერ შექმნილ გაერთიანებას. ეს სწორი იყო, მაგრამ მალევე უნდა გამართულიყო ვადამდელი არჩევნები, სადაც უფრო გააზრებული არჩევანი გაკეთდებოდა. „ქართული ოცნება“ რომ შეიქმნა, მაშინვე ვაცხადებდით, რომ მასში გაწევრიანებული პარტიები ერთმანეთს დაჭამდნენ.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ არც ერთ პარტიას მეორესთან არაფერი აქვს საერთო. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ისინი ერთ გუნდად ვერ ჩამოყალიბდებოდნენ. ჩვენი პროგნოზი გამართლდა.

***– საგარეო ორიენტაციის მხრივაც არის განსხვავებები?***

– საგარეო ორიენტაციის მხრივ, პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში თითქმის ყველა პარტია პროდასავლურია. ჩვენ ყოველთვის ქრისტიანული ქვეყანა ვიყავით და დასავლეთი ჯერ კიდევ მაშინ ავირჩიეთ, როცა ბიზანტიასთან დავამყარეთ ურთიერთობა. დასავლური ღირებულებები საქართველომ კარგა ხნის წინ აირჩია. პროდასავლურობა რესპუბლიკელებს არ შემოუტანიათ. სხვათა შორის, რესპუბლიკური პარტია ერთადერთია, რომელიც რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის განხილვას შესაძლებლად მიიჩნევს. დანარჩენი საქართველოსთვის ეს თავზარდამცემია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების თემაზე უნდა დაველაპარაკოთ რუსეთს.

***– ბოლო დროს საქართველოში არაერთი სოციალური პროტესტი იყო. ხელისუფლების სოციალური პოლიტიკა არასწორია?***

– მემარცხენეები ყველა გაფიცულს გვერდით ვუდგავართ. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშებს ადგილზე გამოვუცხადეთ სოლიდარობა. ტყიბულელი მაღაროელების თხოვნით ტყიბულში არ ჩავსულვართ, რომ გაფიცვას პოლიტიკური ელფერი არ მისცემოდა. სოციალური პოლიტიკა სწორი როგორ იქნება, როცა შრომის კოდექსიც არ არის კარგი.

***– ცვლილებებმა საქმეს ვერ უშველა?***

– შესწორებების მიუხედავად, ბევრი რამ ისევ მოსაგვარებელია. ყველაზე ცუდ დღეში, ფაქტობრივად, მონურ მდგომარეობაში დღეს არიან კერძო სექტორში დასაქმებულები. მათთან შედარებით, სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავეები სამოთხეში იმყოფებიან. შრომის კოდექსში გასაწერია დეკრეტული შვებულების გაუმჯობესების, ანაზღაურებადი შვებულების გაცემის პირობები. ხელშეკრულებები უნდა გახდეს სამუდამო. შრომითი დავები სპეციალურმა კოლეგიამ უნდა განიხილოს.

სტუდენტების მდგომარეობაც გასაუმჯობესებელია. „ახალ თაობას“ ექსკლუზიურად გავუმხელ ერთ ინიციატივას, რომელიც 8 მარტს უნდა გავახმაუროთ. ესაა იმ სტუდენტი გოგონების სწავლის გადასახადისაგან გათავისუფლება, რომლებიც დედები გახდნენ. ასევე ჩვენ მოვითხოვეთ სტუდენტების ანაზღაურებადი სტაჟირება და წარჩინებული დოქტორანტებისა და მაგისტრანტების სახელმწიფო სამსახურებში ტესტებისა და გამოცდების გარეშე მიღება.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ქართლის ქარის ელექტროსადგური საქართველოსთვის პირველი პროექტია

2016 წლის 2 მარტს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გაიმართა გაცნობითი შეხვედრა ქართლის ქარის ელექტროსადგურის პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა პროექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, არსებული შესაძლებლობების, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების გაცნობა. შეხვედრა ორგანიზებული იყო სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდისა“ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ შვილობილი კომპანიის – შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ თანამშრომლების მიერ.

შეხვედრის დროს განხილულ იქნა შესაძლო სამუშაო ადგილების საკითხი, რაც კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.



მსგავსი შეხვედრები პერიოდულად გაიმართება, ვინაიდან პროექტს აფინანსებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი. აღნიშნული ბანკის რეგულაციების მიხედვით, აუცილებელია მუდმივ რეჟიმში ადგილობრივ მოსახლეობასთან ხშირი კონტაქტი, მათი ინფორმირება და ჩართულობა.

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებითი სამუშაოების წარმოებისას პერიოდულად განახორციელოს მდინარის კალაპოტის მონიტორინგი და ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყონებლივ აცნობოს „საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაცია“-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარ ზიანზე, რაც კი შესაძლოა მიადგეს გასზადენს, პასუხისმგებლობა დაეკისრება ლიცენზიანტს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებითი სამუშაოები აწარმოოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და დაიცვას უსაფრთხოების ზომები საავტომობილო ხიდის მიმართ.

ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბუკნარის მიმდებარე ტერიტორია, მდ. სუფსის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (სამივე უბანზე ერთად) - 389 100 მ3).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბუკნარის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

52 173 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

5 217,3 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

26 287 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 4 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 4 აპრილს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 4 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 4 აპრილს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №2

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებითი სამუშაოების წარმოებისას პერიოდულად განახორციელოს მდინარის კალაპოტის მონიტორინგი და ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყონებლივ აცნობოს „საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაცია“-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარ ზიანზე, რაც კი შესაძლოა მიადგეს გასზადენს, პასუხისმგებლობა დაეკისრება წიაღისეულის მომპოვებელ ლიცენზიანტს.

დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო აკეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. სუფსის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 130 200 მ$^3$).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო აკეთის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

17 458 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1 745,8 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

8 929 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 4 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 4 აპრილს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 4 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 4 აპრილს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №3

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში — მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;

ზ) სალიცენზიო ობიექტი საჭიროებს მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას.

თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 მ$^3$/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

118 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

11,8 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

259 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 4 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 4 აპრილს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 4 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 4 აპრილს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №4

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „ქებაანის“ ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 176 700 მ3).

*გაგრძელება იხ. შემდეგ გვერდზე*

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

*დასაწყისი იხ. წინა გვერდზე*

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქებაანის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

23 693 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

2 369,3 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

12 047 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

| 17.ხეტაფე | 27 | 7 | 5 | 15 | 26-44 | 26 |
| 18.ხიხონი | 26 | 6 | 6 | 14 | 30-46 | 24 |
| 19.გრანადა | 26 | 6 | 5 | 15 | 27-51 | 23 |
| 20.ლევანტე | 27 | 5 | 5 | 17 | 25-51 | 20 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-მაინცი ......................... 1:2
შალკე-ჰამბურგი ......................... 3:2
ლევერკუზენი-ვერდერი ................ 1:4
გლადბახი-შტუტგარტი ................... 4:0
ჰერტა-აინტრახტი ....................... 2:0
ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი ................ 2:1
დარმშტადტი-დორტმუნდი .............. 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 24 | 20 | 2 | 2 | 59-13 | 62 |
| 2.დორტმუნდი | 24 | 18 | 3 | 3 | 59-25 | 57 |
| 3.ჰერტა | 24 | 12 | 6 | 6 | 33-24 | 42 |
| 4.გლადბახი | 24 | 12 | 3 | 9 | 49-40 | 39 |
| 5.მაინცი | 24 | 12 | 3 | 9 | 34-30 | 39 |
| 6.შალკე | 24 | 11 | 5 | 8 | 34-31 | 38 |
| 7.ლევერკუზენი | 24 | 10 | 5 | 9 | 33-30 | 35 |
| 8.ვოლფსბურგი | 24 | 9 | 7 | 8 | 36-31 | 34 |
| 9.ინგოლშტადტი | 24 | 8 | 7 | 9 | 18-25 | 31 |
| 10.კიოლნი | 24 | 7 | 9 | 8 | 25-30 | 30 |
| 11.ჰამბურგი | 24 | 7 | 7 | 10 | 28-34 | 28 |
| 12.შტუტგარტი | 24 | 8 | 4 | 12 | 35-48 | 28 |
| 13.აუგსბურგი | 24 | 6 | 7 | 11 | 27-35 | 25 |
| 14.დარმშტადტი | 24 | 6 | 7 | 11 | 25-38 | 25 |
| 15.ვერდერი | 24 | 6 | 6 | 12 | 31-47 | 24 |
| 16.აინტრახტი | 24 | 5 | 8 | 11 | 27-39 | 23 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 24 | 4 | 9 | 11 | 25-37 | 21 |
| 18.ჰანოვერი | 24 | 5 | 2 | 17 | 21-42 | 17 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-ფრაიბურგი ..................... 1:4
ფრანკფურტი-დუისბურგი ............... 3:3
ლაიპციგი-ჰაიდენჰაიმი ................. 3:1

**იტალია. თასი**

მილანი-ალესანდრია .................... 5:0
ინტერი-იუვენტუსი ............. 3:0(3:5პ)

**საფრანგეთი. თასი**

ლოტიანი-გაზელეკი ..................... 3:0
სოშო-ნანტი ........................ 3:2(დდ)
სტ.ეტიენი-პსჟ ........................... 1:3

**პორტუგალია. თასი**

რიუ ავე-ბრაგა .......................... 0:0
პორტუ-ჟილ ვისენტე ................... 2:0

**რუსეთი. თასი**

ამკარი-დინამო .......................... 3:1

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

სელტიკი-დანდი ......................... 0:0
დ.იუნაიტედი-აბერდინი ................ 0:1
სტ.ჯონსონი-პარტიკი ................... 1:2

**შვეიცარია. თასი**

ლუცერნი-ლუგანო ....................... 1:3
სიონი-ციურიხი ......................... 0:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-აუსტრია ........................ 0:3
გროდიგი-რიდი .......................... 2:2
რაპიდი-მატერსბურგი ................... 3:0
შტურმი-ზალცბურგი ..................... 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

რუხი-კრაკოვია .......................... 2:3
ტერმალიცა-ლეგია ....................... 3:0
გურნიკი-ლეხი ........................... 0:2
იაგელონია-პოგონი ...................... 0:0

**უკრაინა. თასი**

ვოლინი-ზორია .......................... 1:1
ვორსკლა-შახტარი ...................... 0:4

# დანი ალვეში: „ყოველთვის იქ მივდივარ, სადაც თავს კომფორტულად და კარგად ვგრძნობ“



სანამ დანიელ ალვეშ და სილვა ბარსელონაში გადავიდოდა, 6 სეზონი გაატარა ესპანურ კლუბ სევილიაში. ანდალუზიურ კლუბში მან ორ-ორჯერ მოიგო უეფას თასი და ესპანეთის სამეფო თასი. პარალელურად ბრაზილიის ნარებშიც დაიმკვიდრა თავი, რამაც ბარსელონის ინტერესი გაამძაფრა და 32 მილიონ ევროდ შეიძინა.

ალვეშმა პირველივე სეზონში დაიმკვიდრა კატალონიური გუნდის ძირითადში და დღესაც უცვლელი წევრია და ბარსას ბოლოდროინდელ წარმატებებში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი. ამასთან, საკლუბო ტიტულები კიდევ უფრო გაიმდიდრა და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ალვეშთან ინტერვიუ ბარსელონის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– 13 წელიწადია, ესპანეთში ცხოვრობთ. თქვენს ცხოვრებაში რა შეიცვალა?***

– ცხადია. ევროპაში გადასვლისას ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. სწორედ ესპანეთში ჩამოვყალიბდი ფეხბურთელად და პიროვნებად. ვთვლი, რომ გადმოსვლისას სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ბრაზილიაში ყველაზე მეტად ხალხი მენატრება. იქ უფრო თბილები და ემოციურები არიან, ესპანეთში კი – უფრო მშვიდნი.

***– ხშირად ხდება, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელები სამშობლოს ძალიან ადრეულ ასაკში ტოვებენ. ეს პოზიტიურია თუ ნეგატიური?***

– ნეგატიური, თუმცა ახალგაზრდა ფეხბურთელები ამას ძირითადად იმიტომ აკეთებენ, რომ საკუთარ ოჯახებს კარგი პირობები შეუქმნან. სამწუხაროდ, ბრაზილიაში ამჟამად სტაბილურობა არ არსებობს. იქაური კლუბები ფინანსურად ჩამორჩებიან ევროპულებს და არც მაღალ დონეზე არიან ორგანიზებულები. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდებს უწევთ, ალტერნატიული გზა ნახონ.

***– ეს ხომ არ არის მიზეზი, რომ ბოლო დროს ბრაზილიასა და არგენტინას ახალგაზრდა ტალანტები ველარ ეზრდებათ, როგორც ადრე?***

– ნაწილობრივ გეთანხმებით. პლუს ფეხბურთი ვითარდება და ჩვენ ცოტათი ჩამოვრჩით. საჭიროა ყოველდღიურად მოვუმატოთ, დროს ფეხი ავუწყოთ. ნიჭიერი ფეხბურთელების ნაადრევი გადინება სასიხარულო არ არის, მაგრამ არც ის დაგვავიწყდეს, რომ მათი უმეტესობა წამყვან კლუბებში გადადის და შესაბამისად, ნაკრებისგანაც დიდია მოლოდინი.

***– ბრაზილიაში თითქმის ყველა ბავშვი დიდ ფეხბურთელობაზე ოცნებობს. მართალია, რომ თქვენ ადრეულ ასაკში უკვე ავტოგრაფების დარიგებაზე ვარჯიშობდით?***

– დიახ. საკუთარ მომავალს მუსიკას ან ფეხბურთს ვუკავშირებდი და ვიცოდი, რომელიც არ უნდა გავმხდარიყავი წარმატებული, ავტოგრაფების დარიგება მომიწევდა, თუმცა, მაინც ვერ წარმომედგინა, თუ ბარსელონასა და ბრაზილიის ნაკრებში ვითამაშებდი.

***– არის რამე, რაც არ მოგწონთ დანი ალვეშში?***

– რა თქმა უნდა. ფეხბურთი მიყვარს, მაგრამ მის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი არ მომწონს. გაუთავებელი ჭორები მაღიზიანებს და ხშირად ეს ზედმეტში გადადის. როგორც ფეხბურთის მხრივ, ასევე პირადულში.

***– ბოლო დროს მკვეთრი განცხადებებისგან თავს იკავებთ.***

– დავიღალე. ფეხბურთელებს აქვთ დიდი ხელფასი, საკუთარი ცხოვრება, პასუხისმგებლობა და მოვალეობები, იბრძვიან წარმატებებისთვის. თუმცა კრიტიკის ან შენიშვნის მიღება ყველას უჭირს. ერთია, რადგან თავისუფალი ადამიანი ვარ და მაქვს უფლება, მქონდეს ჩემი აზრი და ვთქვა ამის შესახებ.

***– როგორ ფიქრობთ, ეს საუკეთესო ბარსელონაა, რომლის წევრიც ყოფილხართ?***

– ჩვენ ბოლო 5-6 წლის განმავლობაში საოცარი ბარსელონა ვნახეთ და როდესაც ხალხმა ჩათვალა, რომ მსგავსის გამეორება ან ასევე გაგრძელება შეუძლებელი გახლდათ, ვანახეთ, რომ მათი აზრი საფუძველს იყო მოკლებული. ჩვენ გამარჯვებების წყურვილი არ დაგვიკარგავს და ძველებური შემართებით განვაგრძეთ. პლუს, ისიც ვიცით, რომ ჩვენ წინააღმდეგ ყველა ცდილობს მოგებას და კარგად ემზადება, ამიტომ ჩვენც ისე გავდივართ მოედანზე. ვისაც მართლა უყვარს ფეხბურთი, იაზრებს და აღიარებს, რომ ბარსელონა დაფასების ღირსია და სიამოვნებას იღებს მისი თამაშისგან.

***– ყურადღების ცენტრში ყოველთვის ლეო მესი, ლუის სუარესი და ნეიმარი არიან. სად არის დანი ალვეში?***

– ისინი საუცხოო ფეხბურთელები არიან და კამერებიც იმიტომაა მათკენ მიმართული. თუმცა ფეხბურთი გუნდური თამაშია. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ხავიერ მასკერანო 2014 წლის მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებას იმსახურებდა, მაგრამ იმ მოთამაშეებს, ვისაც მეტოქის შეტევების ჩაშლა ევალებათ, ნაკლები ყურადღება ექცევათ. მე გუნდური მოთამაშე ვარ და ბარსელონაში ყველა ასე ფიქრობს. ეს ჩვენი წარმატების ერთ-ერთი მთავარი იარაღია. თუ მედია ვინმეს გამოარჩევს, ეს მათი საქმეა, მაგრამ ბარსაში ეგოიზმი არ არსებობს.

***– როდესაც ბარსელონაში თქვენი კარიერა დასასრულს მიუახლოვდება, კარიერას ბრაზილიაში დაასრულებთ?***

– უკვე დადებული მაქვს პირობა, რომ კარიერას იქ დავასრულებ, სადაც დავიწყე – ბაიაში. ასე გადავუხდი მადლობას მათ, ვინც მომცა იმის საშუალება და შანსი, რომ ფეხბურთში ჩემი სახელი შემექმნა. თუმცა, მსურს, რომ ამ დროისთვის ისევ ნორმალურ ფორმაში ვიყო და იმედები არავის გავუცრუო.

***– საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ფეხბურთში ჩართული აღარ იქნებით?***

– მიზიდავს გასტრონომია, მუსიკა და მოდა. ასე რომ, ალბათ, რომელიმე სფეროში ვიღვაწებ. ფეხბურთიც მიყვარს, მაგრამ, არა მგონია, ისევ ფეხბურთში დავრჩე. ყოველთვის იქ მივდივარ, სადაც თავს კომფორტულად და კარგად ვგრძნობ.

# ინგლისის ტოპკლუბებს ახალი ტურნირი სურთ

ევროპულ ფეხბურთში რევოლუციის მოხდენას ფიქრობენ ინგლისური წამყვანი კლუბები. ხუთი კლუბის წარმომადგენლებმა მოლაპარაკებები წამოიწყო ამერიკელ მილიარდელ სტივენ როსთან, რომელსაც ლონდონში შეხვდნენ.

ინგლისური ცნობით, ეს კლუბები არიან მანჩესტერ იუნაიტედი, ჩელსი, არსენალი, სიტი და ლივერპული.

როგორც ირკვევა, როსი ევროპული სუპერლიგის შექმნას აპირებს, რომელში მონაწილეობაც სულაც არ იქნება დამოკიდებული ეროვნული ჩემპიონატების შედეგებზე. ეს წინადადება კი ტოპკლუბებისთვის მიმზიდველია, რადგან 5 კლუბიდან ჩემპიონთა ლიგის კვოტას მინიმუმ 4 მოიპოვებს, ხოლო ერთი მის მიღმა რჩება. ეს მინიმუმ, თორემ, თუ დღევანდელ სატურნირო ცხრილს გადავხედავთ, ამჯერად პრემიერლიგაში ჩემპიონთა ლიგის საგზურის მიღმა დარჩენა 3 კლუბს ემუქრება. ალტერნატიული ლიგის შექმნის შემთხვევაში კი ისინი საკმაოდ დიდ შემოსავალს აღარ დაკარგავენ.

ცხადია, ალტერნატიული ლიგა ხელს შეუშლის ჩემპიონთა ლიგის არსებობას, რაც სულაც არ აწყობს უეფას, რომელიც დამოუკიდებელი ტურნირის შექმნის შესაძლებლობას გამორიცხავს. უეფა მზად არის, ამჟამად არსებულ ევროტურნირებში კონკრეტული ცვლილებების შეტანის წინადადებები განიხილონ, თუმცა მათ მნიშვნელოვან გადაკეთებას ან ახალი ლიგის შექმნას არ დაუშვებენ.

# საქართველომ სომხეთი მეორედაც დაამარცხა



საქართველოს 17-წლამდე ნაკრებმა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე მეორე ამხანაგური მატჩი გამართა სომხეთის 18-წლამდე ნაკრებთან და ამჯერად 3:0 იმარჯვა. შეგახსენებთ, რომ 1 მარტს ამავე გუნდების შეხვედრა 4:1 დასრულდა.

ვასილ მაისურაძემ მეორე მატჩში გადახალისებული შემადგენლობა დააყენა და უკვე საწყის 18 წუთში ყველაფერი გადაწყვეტილი იყო: მე-4 და მე-18 წუთებზე გიორგი ივანიაძემ გამოიჩინა თავი, რომლის გოლებს შორის, მე-13 წუთზე, ბექა ქავთარაძემ გაიტანა.

საქართველოს ნაკრებს მეორე ტაიმშიც შეეძლო გოლის გატანა, თუმცა ამასთან უფრო ახლოს სტუმრები იყვნენ – დავით კერესელიძემ პენალტი აუღო ერიკ პეტროსიანს.

ვასილ მაისურაძის გუნდი 6 მარტიდან ისევ შეიკრიბება და სფფ-ს ტექნიკურ ცენტრ ბასაზე გააგრძელებს თბილისში გასამართი ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდისთვის მზადებას. 15-20 მარტს დაგეგმილ ოფიციალურ მატჩებში ჩვენი ნაკრების მეტოქეები იტალია, რუსეთი და ბოსნია იქნებიან.

**საქართველოს ნაკრებმა მეორე მატჩი ასეთი შემადგენლობით ითამაშა:** კერესელიძე, კიკალიშვილი (ქაფიანიძე 41), ასათიანი (ვირუბოვი 41), კასრელიშვილი, გულბანი (ნიკოლეიშვილი 41), კუცია (ძებნიაური 59), ნინუა (ანდრონიკაშვილი 65), შეწირული, ქავთარაძე (ოზბეთელაშვილი 41), ჩაკვეტაძე (სპანდერაშვილი 41), ივანიაძე (დავითაშვილი 41).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების განჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# აშშ: მარტი გადამწყვეტი თვე იქნება




აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატების გამოსავლენი ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.

მარტში ბევრი რამ გადაწყდება, კერძოდ ის, თუ რამდენად შეძლებენ ლიდერები ტრამპი და ჰილარი კლინტონი თავიანთი პოზიციების გამყარებას.

მომავალ კვირაში მიჩიგანის შტატში დემოკრატების პრაიმერიზი ჩატარდება.

მიჩიგანი ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული შტატია, ამიტომ იქაური კენჭისყრის შედეგებზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

წინასწარი მონაცემებით, ჰილარი კლინტონი დამაჯერებლად ლიდერობს. მას მხარს იქაური მოსახლეობის 50 პროცენტი უჭერს. ბარნი სანდერსის რეიტინგი 39 პროცენტია.

რესპუბლიკელები თავიანთ პრაიმერიზს ოჰაიოსა და ფლორიდის შტატებში ჩაატარებენ.

პირადად ტრამპის მდგომარეობაზე ეს გავლენას არ მოახდენს. ის ლიდერობას შეინარჩუნებს. სამაგიეროდ, 15 მარტის პრაიმერიზი გადამწყვეტი იქნება ჯეკ კიუსიკისა და მარკო რუბიოსთვის. კენჭისყრის შემდეგ ერთ-ერთი მათგანი პრეზიდენტობისთვის ბრძოლას უნდა გამეთიშოს.

კიუსიკი ოჰაიოს შტატის გუბერნატორია, რუბიო კი ფლორიდელი სენატორია. ამრიგად, ორივეს თამაში საკუთარ მოედანზე მოუწევს. რამდენად შეძლებენ ისინი ტრამპისთვის ქულების წართმევას, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

# ბრიდლავი: „უკრაინას ლეტალური იარაღი უნდა მივაწოდოთ"



ნატოს ჯარების სარდალმა ევროპაში, გენერალმა ბრიდლავმა აშშ-ის მთავრობას რეკომენდაციები წარუდგინა.

ბრიდვალი სიტყვით გამოვიდა აშშ-ის სენატის კომიტეტის სხდომაზე, სადაც განაცხადა, რომ რუსეთი ევროპის უსაფრთხოებას უკვე რეალურად ემუქრება. შესაბამისად, აუცილებელია ევროპაში ნატოს ჯარების გაძლიერება.

ბრიდლავის აზრით, აუცილებელია შეიქმნას ნატოს სწრაფი რეაგირების კორპუსი, ასევე შემუშავდეს მექანიზმი როგორც რუსული პროპაგანდის, ასევე რუსეთის მიერ მოსყიდული ორგანიზაციების გასანეიტრალებლად.

ბრიდლავი რუსულ-უკრაინულ კონფლიქტსაც შეეხო.

მან აღნიშნა, რომ მინსკის პროცესის მიმართ სკეპტიკურადაა განწყობილი, რადგან ამ პროცესის ბოლომდე მიყვანა რუსეთს არ სურს. გენერალმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი დონბასელ სეპარატისტებს აიარაღებს.

— ასეთ სიტუაციაში უკრაინას ლეტალური იარაღი აუცილებლად უნდა მიაწოდოთ! წინააღმდეგ შემთხვევაში, ფართომასშტაბიანი ომი გარდაუვალია და ევროპას ეს ძალიან ძვირი დაუჯდება, — თქვა ბრიდლავმა.

# რუსები დოპინგსკანდალით მანიპულირებენ

დოპინგსკანდალი, რომლის შედეგადაც რუსი ათლეტები ყველა საერთაშორისო ტურნირებიდან მოიკვეთნენ, სპორტსმენთა მოსამზადებელ გრაფიკზე გავლენას არ ახდენს. თავად სპორტსმენებიც და რუსი სპორტული ჩინოვნიკებიც დარწმუნებული არიან, რომ პრობლემების მოგვარებას შეძლებენ და რიოს ოლიმპიადაზე მონაწილეობას მიიღებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, მთელმა ნაკრებმა თქვას უარი.

რუსი სპორტსმენები აცხადებენ, რომ დისკვალიფიკაცია მათ განწყობაზე არ აისახა და ისინი ფორმის შენარჩუნებისთვის ვარჯიშს განაგრძობენ.

**მიხაილ ბუტოვი, რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი:**

— რა თქმა უნდა, განწყობა ისეთივე არ გვაქვს, როგორც წინა წლებში, რადგან ვითარება, სამწუხაროდ, ჩვენს სასარგებლოდ არ არის. თითოეული ჩვენთაგანისთვის მძიმე დრო დგას. თუმცა ოპტიმიზმს არ ვკარგავთ. იმედი გვაქვს, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს და სუფთა სპორტსმენები ოლიმპიადაზე მონაწილეობას მიიღებენ. დოპინგის მოხმარებაში მხილებული ზოგიერთი სპორტსმენის გამო ყველა არ უნდა დაისაჯოს. იმ შემთხვევაში, თუ ვითარება არ შეიცვლება, რუსეთი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას არ მიიღებს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ნადეჟდა სავჩენკო: „წინააღმდეგი ვარ, რომ გრუ-ს აგენტებზე გამცვალონ"



როსტოვის ოლქის ქალაქ დონეცკში დასასრულს უახლოვდება უკრაინელი მფრინავის ნადეჟდა სავჩენკოს სასამართლო პროცესი.

მიუხედავად იმისა, რომ თვით რუსულ სასამართლოზეც კი სავჩენკოს ალიბი დამტკიცდა, პროკურორმა მისთვის 23 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

სავჩენკოს ადვოკატმა მარკ ფეიგინმა აღნიშნა, რომ სავჩენკოს 20-წლიან პატიმრობას მიუსჯიან, შემდეგ კი კიევში გრუ-ს დაპატიმრებულ აგენტებზე გაცვლიან.

თავად სავჩენკო კატეგორიული წინააღმდეგია იმისა, რომ გრუ-ს აგენტებში გაცვალონ. საბოლოო სიტყვაში მან განაცხადა:

— ის, რაც აქ დონეცკში მიმდინარეობდა, უფრო კომედიას მაგონებს, ვიდრე სასამართლოს. მიუხედავად ამისა, ჩემი უდანაშაულობის დამტკიცება მაინც მოხერხდა, თუმცა ბატონი პუტინისთვის ჩემი გამართლება ხელსაყრელი არაა. მეც ხანგრძლივ პატიმრობას მომისჯიან, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ რუსეთი მაფიოზური სახელმწიფოა, სადაც ყველაფერს არა კანონი, არამედ მაფიის თავკაცი, ბატონი პუტინი წყვეტს!

სავჩენკომ თქვა, რომ კატეგორიულად წინააღმდეგია იმისა, რომ გრუ-ს დაკავებულ აგენტებზე გაცვალონ.

— ჯაშუშებში მხოლოდ ჯაშუშს ცვლიან, მე კი ოფიცერი გახლავართ! — თქვა მან და დაუმატა, რომ თუ მას პატიმრობას მიუსჯიან, მშრალ შიმშილობას გამოაცხადებს.

— ციხიდან ან გამამართლებელი განაჩენით გავალ, ან აქედან მკვდარს გამიტანენ! — ამბობს სავჩენკო.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი".

**მკურნალობა**

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი — კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის" ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიზროწაშვილი — ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე

**განცხადებები**

ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ასტროპროგნოზი
## 4 მარტისათვის



**ვერძი** — თავგადასავლებითა და პროვოკაციებით სავსე დღეა. ახლობელთან კონფლიქტის მიზეზი შესაძლოა თქვენი მეტისმეტი ქედმაღლობა და სიჯიუტე გახდეს. **კურო** — ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. არაკეთილისმყოფელი პერიოდია კოლექტიური მუშაობისათვის. ილუზიებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** — საშუალება გეძლევათ, გააფართოვოთ სამოქმედო არეალი. ახალი იდეების ხორცშესხმა სავსებით რეალურია. **კირჩხიბი** — ნათესავებთან და ძველ მეგობრებთან ურთიერთობა გიუმჯობესდებათ. დღეს აკრძალულია ნებისმიერი კაპიტალდაბანდება. **ლომი** — პარტნიორთან მაქსიმალურად თავშეკავებული და წინდახედული იყავით, თუმცა მოთმინებასაც საზღვარი აქვს. **ქალწული** — მთელი ენერგიის კონცენტრირება თავდაცვისკენ მოახდინეთ. არ არის გამორიცხული კონფლიქტი ეჭვიანობის ან ფინანსური პრობლემების ნიადაგზე. **სასწორი** — კოლეგებთან ურთიერთობაში აუცილებელია პატიოსნება და გულწრფელობა. სამსახურში სიძნელეებს წააწყდებით. საღამოს განმარტოვდით მყუდრო გარემოში. **მორიელი** — კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის. თქვენი ღირსებები სათანადოდ დაფასდება. **მშვილდოსანი** — ყურადღებით მოეკიდეთ საქმიან ქაღალდებსა და მატერიალურ ფასეულობებს. ნებისმიერ უსიამოვნებას ემოციების გარეშე შეხვდით. **თხის რქა** — მშვიდად იმუშავეთ. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს. დიდი ხნის ოცნების ასრულებას მოულოდნელად მიღებული ინფორმაცია შეუშლის ხელს. **მერწყული** — ენერგეტიკული პოტენციალი სუსტდება. მოვლენები თქვენთვის არასასურველი კუთხით განვითარდება. შანსს ნუ გაუშვებთ, პირადი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. **თევზები** — დაკისრებული მოვალეობა კეთილსინდისიერად შეასრულეთ. თქვენი შრომისმოყვარეობა აუცილებლად სასიკეთო ნაყოფს გამოიღებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ნიჟარაში ბინადარი უხერხემლო, რბილსხეულიანი ზღვის ცხოველი; 2. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 3. ქალაქი გერმანიაში, სადაც განთავსებულია „მერსედესის" სათავო ოფისი; 4. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 5. კომბინაცია პოკერში; 9. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულება; 10. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 14. პროდუქციის გასაღების ბაზრის შესწავლა და მისი მართვა; 15. სვანური ლირიკული ჟანრის სიმღერა; 16. გამცემლობა, ორგულობა, ვერაგობა; 19. ხორცის ნახარში; 20. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 21. მადრიდის „რეალის" ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი.

**თარაზულად**: 6. საზღვაო გადაზიდვების პირობების შემცველი დოკუმენტი; 7. საკანცელარიო ნივთი; 8. ქალაქი-მუზეუმი უზბეკეთში; 11. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი პაიკის ან ფიგურის შეწირვით; 12. ძველებური ორი ან სამანძიანი იალქნიანი გემი; 13. ანგლიკანური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 17. სოხუმის ძველბერძნული სახელწოდება; 18. წითელი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 22. მგალობელი ფრინველი; 23. იტალიის ნავსადგური ადრიატიკის ზღვის ჩრდილო ნაწილში; 24. კუჭქვეშა ჯირკვლის ჰორმონი; 25. ბულვარული ჟურნალ-გაზეთების საერთო სახელწოდება აშშ-ში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხატწერა; 2. სფერო; 3. დისკანტი; 4. იორდანე; 5. „კალვადოსი"; 9. „გლაქსო"; 12. მარკონი; 14. აწყური; 15. ერბო; 17. რიონი; 18. „ჯანი".

**თარაზულად:** 6. ზარაფი; 7. ბიოლოგია; 8. მწყერი; 10. დასტა; 11. ჰაუპტვახტი; 13. პამპერსი; 16. ნასერი; 19. ავტობანი; 20. პიტიუნტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხარფუხი; 2. აციდოზი; 3. სიგნატურა; 4. „გოპაკი"; 5. მიზერი; 9. ვოლვო; 10. აფალინა; 14. ფილანტროპი; 15. „ნოვარტისი"; 16. ფრანკი; 19. წუმწუმა; 20. ლოკალი; 21. „ჰამერი".

**თარაზულად:** 6. ჰალუცინაცია; 7. „ბოლონია"; 8. ეფენდი; 11. კონკური; 12. ბზიფი; 13. „რუსთავი"; 17. პოლიფონია; 18. თურაშაული; 22. „ბორჯომი"; 23. კრამიტი; 24. ამირბარი; 25. კირჩხიბი.

# ათონელის თეატრს მერიამ დახმარებაზე უარი უთხრა




ათონელის თეატრს დედაქალაქის მერიამ დახმარებაზე უარი უთხრა. ორი კვირის წინ თეატრში გაჩენილმა ხანძარმა სერიოზული პრობლემები გამოიწვია. თეატრის მესვეურებმა დასახმარებლად დავით ნარმანიას უწყებას მიმართეს, თუმცა იქიდან უარი მიიღეს.

ინფორმაციას თეატრ „მაჩაბელას“ ხელმძღვანელი მამუკა ლომაშვილი სოციალურ ქსელში ავრცელებს, რომლის თეატრიც ათონელის თეატრს იყო შეფარებული.

**მამუკა ლომაშვილი:**

– მაჩაბელას თეატრი როგორ ვემზადებოდით ამ დღისთვის.......... ვისწავლეთ სიმღერები, პროზა და რაც კი დაწერილა დედაზე, ისეთებიც, რაც ბევრ თქვენგანს არ მოუსმენია და არ წაუკითხ-გაუგონია.

გვქონდა ჩაფიქრებული სიურპრიზი დედებისთვის, ისე რომ წინასწარ არც სცოდნოდათ, უნდა გაგვეკეთებინა სათითაოდ ვიდეოკოლაჟი ბავშვებზე და მათ დედებზე, ჩემი მოსწავლეები რა მონდომებით და სიხარულით მეცადინეობდნენ ისედაც დროსეკვესტრირებულნი...

დღეს კი ოფიციალურად მოვიდა წერილი მერიიდან – დამწვარ თეატრს ვერაფრით დავეხმარებითო.

# ლადო ბურდული საუკეთესოებს დააჯილდოვებს



მუსიკოსი და მომღერალი ლადო ბურდული კავკასიური მუსიკალური დაჯილდოების „ფენისქსის“ გალაკონცერტზე საუკეთესოებს დააჯილდოვებს.

„ახალი სახელები ახალი კავკასიისთვის“ – ასეთია ღონისძიების დევიზი, რომელსაც თბილისი ივენთ ჰოლი უმასპინძლებს. ყოველწლიურად „ფენიქსი“ საუკეთესო არტისტებსა და ჯგუფებს 6 ნომინაციაში ავლენს, საუკეთესო სიმღერა, საუკეთესო ვიდეო, დებიუტი, წლის არტისტი/ჯგუფი, განვითარებისთვის, ფენიქსის გმირი.

კავკასიის მუსიკალური დაჯილდოება „ფენიქსი“ უკვე მეხუთე წელია ტარდება. ინტერნეტპროექტის მიზანია, მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენოს ინტერნეტრესურსები და შექმნას სივრცე, სადაც კავკასიის რეგიონში მცხოვრები მუსიკოსები გაერთიანდებიან. „ფენიქსი“ 1995 წლის კავკასიის როკფესტივალებიდან იღებს სათავეს.

ფესტივალის მეშვეობით უკვე შეიქმნა კავკასიის მასშტაბით არსებული სხვადასხვა მუსიკალური ჯგუფის მონაცემთა ბაზა, სადაც ყველას შეუძლია გაეცნოს თანამედროვე მუსიკის სფეროში მიმდინარე საინტერესო პროცესებს, ახალ ჯგუფებსა და მათ პროდუქტს.

# ფრანგული კულტურა საქართველოს მოიცავს




ფრანგული კულტურა თავისი მრავალფეროვნებით საქართველოს მოიცავს და ერთი თვის განმავლობაში თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ფრანკოფონიის თვეს წარმოადგენს.

საფრანგეთის საელჩო, საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი და შვეიცარიის კონფედერაციის საელჩო მთელი მარტის განმავლობაში ფრანგული ენისა და ფრანკოფონიის დღესასწაულს აღნიშნავენ საქართველოს სასკოლო და საუნივერსიტეტო დაწესებულებებთან ერთად.

ფრანკოფონიის საერთაშორისო დღე აღინიშნება მთელ მსოფლიოში და საქართველოც, როგორც ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაციის დამკვირვებელი წევრი, უერთდება აღნიშნულ დღესასწაულს.

წელსაც მრავალი ღონისძიება ქართველ ფრანკოფონებს და არა მხოლოდ მათ საშუალებას აძლევს, ეზიარონ ან ხელახლა აღმოაჩინონ ფრანკოფონია და ფრანკოფონული კულტურა.

მდიდარ და მრავალფეროვან პროგრამაში გაერთიანებულია კულტურული, ლიტერატურული, კინემატოგრაფიული, მუსიკალური და საგანმანათლებლო ღონისძიებები. საქართველოში ჩამოვა ლიტერატურული პრემია რენოდოს ლაურეატი, რომან „დელიკატურობის“ ავტორი, ფრანგი მწერალი დავიდ ფონკინოსი, ასევე ჩატარდება ფრანგული და შვეიცარიული ჯგუფების კონცერტები. ფრანგულენოვანი ფილმების დღეების ფარგლებში გაიმართება კინოჩვენებები. მრავალი შეხვედრა, კონფერენცია, მრგვალი მაგიდა და პრეზენტაცია შედგება როგორც თბილისში, ასევე ბათუმსა და ქუთაისში.

ფრანკოფონია 2016-ის ფარგლებში გაიმართება კონკურსები მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის. გამარჯვებულებისთვის დაწესებულია მრავალფეროვანი პრიზები.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს შრომის ვეტერანთა საქველმოქმედო კავშირი „ქომაგი“ იუწყება გლდანი-ნაძალადევის თავმჯდომარის იზოლდა ქანაშვილის ვაჟიშვილის

**ზაზა ობგაიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ნიკო ფიროსმანის ნახატები კატალოგში გაერთიანდება



ქართველი პრიმიტივისტი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ნახატები კატალოგში გაერთიანდება. შვეიცარიული კომპანიის დირექტორ ადრიან ბარსანის ინიციატივით ნიკო ფიროსმანაშვილის შესახებ წიგნი და კატალოგი დაიბეჭდება.

ადრიან ბარსანი ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის მირზაანის სახელმწიფო მუზეუმს ეწვია, სადაც მირზაანის ფონდში დაცული ფიროსმანის 14 ნამუშევარი კატალოგისათვის გადაიღო. კატალოგში ასევე წარმოდგენილი იქნება მხატვრის სხვა მუზეუმში დაცული და კერძო კოლექციებში არსებული ნამუშევრები.

წიგნში მსოფლიოში აღიარებული ხელოვნებათმცოდნის ერნესტ კუზნეცოვის მიერ ასახული იქნება ფიროსმანის ცხოვრება.

წიგნი და კატალოგი მსოფლიოს მნიშვნელოვან ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში განთავსდება.

# გოგი გვახარია მწერლებს აკრიტიკებს

კინომცოდნე გოგი გვახარია ქართველ მწერლებს საჯაროდ აკრიტიკებს. მისი აზრით, „ლიტერატურული საქართველო“ პროფაშისტურ გამოცემად იქცა, რაც მისთვის გაუგებარია და ახსნა-განმარტებას მწერლებისგან ითხოვს.

**გოგი გვახარია:**

– ბევრჯერ მიკითხავს და მიფიქრია ამაზე, მაგრამ ფეისბუქზე პირველად ვკითხულობ:

მას შემდეგ, რაც გორბაჩოვმა „საჯაროობის“ პოლიტიკა გამოაცხადა, გაიმართა შემოქმედებითი კავშირების ყრილობები, ერთ-ერთი, კინემატოგრაფისტების, აღწერილი მაქვს წიგნში, კინემატოგრაფისტებმა, კომპოზიტორებმა, არქიტექტორებმა. თეატრალებმა მხარი დაუჭირეს აკრძალული ნაწარმოებების „გათავისუფლებას“, დემოკრატიზაციასა და მრავალფეროვნებას. ერთადერთი, ვინც წინააღმდეგობა გაუწია ამ პროცესს, იყო მწერალთა კავშირი. აქ, პირიქით, დაუპირისპირდნენ რეფორმებს.



პრინციპში, იგივე მოხდა საქართველოშიც. „ლიტერატურული საქართველო“ ცოტა ხანში პროფაშისტურ გამოცემად იქცა.

ჰოდა, რატომ? რა გჭირთ მწერლებს?

# სტანისლავ ბონდარენკო თბილისში ჩამოდის



უკრაინელი მსახიობი სტანისლავ ბონდარენკო თბილისში ჩამოდის. ხელოვანი საქართველოს დედაქალაქს 10 მარტს ესტუმრება.

მსახიობი ქართველ კოლეგებთან ერთად მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაგეგმილ საქველმოქმედო სპექტაკლში მიიღებს მონაწილეობას. ბონდარენკო ზურიკელას როლს შეასრულებს სპექტაკლში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. მსახიობი საქართველოში ანაზღაურების გარეშე ჩამოვა, სპექტაკლიდან მიღებული შემოსავალი კი 17 წლის მიხეილ სხვიტარიძის გადასარჩენად დაიხარჯება.

ინფორმაციას ამის შესახებ მსახიობი ინტერნეტში თავად ავრცელებს:

– საქართველოში საქველმოქმედო საღამოში მონაწილეობისთვის ჩავდივარ. ჩვენ ავირჩიეთ ადამიანი, რომელსაც თითოეული ჩვენგანის თანადგომა ყველაზე მეტად სჭირდება. მიხეილ სხვიტარიძე 17 წლის არის, დაავადებულია ოსტეოპოროზითა და კუნძოვანი კვანძებით. მას 8 გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

მისი მდგომარეობა ძალიან რთულია, ესაჭიროება გერმანიაში გადაყვანა და ოპერაციის ჩატარება, ყოველთვიურად სჭირდება ძვირადღირებული მკურნალობა, მისი გადარჩენის შანსი ჯერ კიდევ არსებობს.

მამა გარდაცვლილი ჰყავს, არის მრავალშვილიანი ოჯახიდან და არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი. ამ დროისთვის ის და მისი ოჯახის წევრები ქირით ცხოვრობენ სარდაფში.

მარტოხელა დედას შვილის მკურნალობისთვის საჭირო თანხები არ გააჩნია, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, დავეხმაროთ მიხეილს და ჩავატაროთ მის დასახმარებლად საქველმოქმედო საღამო, – წერს მსახიობი ოფიციალურ გვერდზე.

„სულ იმას მეკითხება, დედა, ხომ არ მოკვდებიო, დედა რამე ხომ არ გტკივაო, არადა, რამდენი რამე თავად სტკივა, ნემსებით დაავადებულ სისხლს რომ უღებენ, ყველა ნემსი ჩემს გულზე გადის, ნეტავ მართლა მოვკვდებოდე და მის ტანჯვას არ ვუყურებდე ამდენი წელი“, – ამბობს მიხეილის დედა, ქალბატონი ციური.

17 წლის მოზარდს ხერხემლის ურთულესი დაავადება აქვს. 9 წლის განმავლობაში გადატანილი აქვს 8 ოპერაცია, 3 თვეში ერთხელ ესაჭიროება სისხლის გამოცვლა, უამრავი ძვირადღირებული წამალი და სრულფასოვანი კვება, რომლის საშუალებაც ნაქირავებ სარდაფში მცხოვრებ პატარა ოჯახს არ აქვს.

მიხეილი ისეა დაუძლურებული, ჭამაც კი არ შეუძლია თავისით, ერთადერთი, რაც მის ცხოვრებას აზრს აძლევს, ხატვაა. რის საშუალებასაც „აწყობილი“ ხერხემალი აძლევს, ზის და ხატავს. არსებობს დიდი შანსი, რომ გერმანელი ექიმები მას სიცოცხლეს შეუნარჩუნებენ, ოფიციალურად მოსწერეს კიდეც ერთ-ერთი კლინიკიდან მიხეილის ექიმს, თუ ბავშვს ჩამოიყვანთ აქამდე, ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელებულს დაგიბრუნებთო, მაგრამ ოჯახს იმის საშუალებაც კი არ აქვს, რომ ბინის გადასახადი გადაიხადონ და რამდენიმე თვის თანხა ჯერაც გადაუხდელი აქვთ მეპატრონისთვის.

სტანისლავ ბონდარენკოს თბილისში ვიზიტის ავტორები ელენე თარგამაძე და ნათია ქარდავა არიან. მათ სოციალური ქსელიდან შეიტყვეს, რომ 17 წლის მიხეილ სხვიტარიძეს ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა და დახმარება ესაჭიროებოდა. გოგონებმა არჩევანი სტანისლავ ბონდარენკოზე გააკეთეს და მას დაუკავშირდნენ. მსახიობი მაშინვე დათანხმდა გოგონებს და საქართველოში ყველანაირი ანაზღაურების გარეშე ჩამოსვლა გადაწყვიტა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრში ჩატარებული საქველმოქმედო სპექტაკლის შემდეგ მიხეილ სხვიტარიძის დასახმარებლად კიდევ ერთი ღონისძიება გაიმართება. „ფლოორ 8“-ში ჩატარდება საქველმოქმედო კონცერტი, რომელსაც დაესწრება სტანისლავ ბონდარენკო და იმღერებენ ქართული ესტრადის ვარსკვლავები. საღამოზე იცეკვებენ სუხიშვილებიც.

საქველმოქმედო სპექტაკლზე დასასწრები ბილეთის ფასი 30, 40, 50 ლარია, საქველმოქმედო კონცერტის ბილეთი კი 100 ლარი ღირს.

# ჩინეთში ბავშვი მანქანის საბარგულიდან გადავარდა



ჩინეთში მიმავალი ავტომობილის საბარგულიდან ტრასაზე ბავშვი გადავარდა. ის აიყვანეს და უსაფრთხო ადგილას სხვა მანქანების მგზავრებმა გადაიყვანეს.

ავტომობილის მძღოლმა, რომლის საბარგულიდანაც ბავშვი გზაზე გადავარდა, რამდენიმე წუთის შემდეგ მოირბინა, მას შემდეგ, რაც ბავშვის გაუჩინარება შენიშნა. სავარაუდოდ, ბავშვმა თავად მოახერხა საბარგულის კარის გახსნა, რის შემდეგაც თავი ველარ შეიკავა და მანქანის სავალ ნაწილზე გადავარდა.

შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ტვიტერში ჩინურმა სააგენტო „სინხუამ“ განათავსა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# პროგრამა

## პარასკევი 4 მარტი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 10.50, 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "ადამიანი კამერით" 13.00 **ჩოგბურთი**. დევისის თასი. ევროაფრიკული ზონის შეხვედრა: **საქართველო – დანია** 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 "პროექტი ზღვარზე ტელებლოგში" 21.30 სოციალური თოქ-შოუ 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**თაფლაკვერის კაცუნა**" 03.10 "პირადი ექიმი"

08.00, 10.10, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 10.05 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 პოლიტიკა 23.30 მხ/ფ "**ტრანსფორმერები-3**" 02.20 მხ/ფ "**პოლიციელი ბევერლი ჰილზიდან - 2**" (ე.მერფი) 04.00 ერთხელ საქართველოში 05.00 მხ/ფ "**წყვდიადის სამეფო**" (მ. ინი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**აღთქმა**" 20.50 ლოტო 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 ქ.მხ/ფ. "**დარჩი ჩემთან**" 01.00, მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. 9.00 Discovery - ფილმების მეცნიერება 10.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 11.00 მზარეულები 11.30 შუადღე 14.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. "**ცენტრი**" 15.30 Discovery - ფილმების მეცნიერება 16.30 აირჩიე კაბა 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 20.00 ცოლები და ქმრები 20.30 20.30 22.00 მხ/ფ "**სექსი დიდ ქალაქში**" 0.40 ID Extra - სასჯელს თითქმის გაჟექეცი 1.40 URBAN STORIES 2.30,ჯიდიპედია

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ "ტაო-კლარჯეთი"V ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე 11.00 სტუმრად მღვდელმთავართან-ჭყონდიდის ეპარქია 11.30 ღვთისსახლი "აფხაზეთის საკათალიკოსო" 12.10 პორტრეტები 13.15 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "ნოლინა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ანიმაციური ფილმი 15.30 დ/ფ "საგუშაგო კოშკი" 16.30 კონცერტი 17.10 ტელეზღაპარი "ჭკუა და იღბალი" 17.30 მიწათმოქმედი "სათბურის გადახურვა" 17.45 ქვიშანი დარჩებიან 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 სიმღერის კვალდაკვალ 20.00 თაობა ზეტი 20.40 ძილი ნებისა "იესო იზრდება" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.00 სიახლენი 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ხმა უდაბნოში-დავით გარეჯი" III ფ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 თბილისის ტაძრები 00.35 დ/ფ 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 14.05, 15.30, 16.05, 17.05, 01.00 სერ. "**კარმელიტა** 15.00"კონტაქტი სამზე" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 03.00 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45, 22.30 სერ. "**ფროიდის მეთოდი**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 მარტისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4703 |
| ევრო | 2.6827 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.4466 |
| 100 რუსული რუბლი | 3.3361 |

## ამინდის პროგნოზი 4 მარტისთვის






კალეიდოსკოპი

# სელმა ჰაიეკის ძაღლის მკვლელობა მისმა მეზობელმა აღიარა





ამერიკის ვაშინგტონის შტატის პოლიციამ გამოძიების მსვლელობისას დაადგინა, რომ მსახიობ სელმა ჰაიეკის ძაღლი, სახელად მოცარტი, მისმა მეზობელმა მოკლა.

ჰაიეკის მეზობელმა ჩადენილი აღიარა. მამაკაცის თქმით, მას ყელში ამოუვიდა, რომ მსახიობის შინაური ცხოველი მის ტერიტორიაზე შედიოდა და მის ძაღლს თავს ესხმოდა. მისი მტკიცებით, ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც ჰოლივუდის ვარსკვლავის მსახურს ძაღლი გასასეირნებლად გამოჰყავდა.

მამაკაცის თქმით, ინციდენტის დღეს მის ავტოფარეხში ჰაიეკის ერთბაშად რამდენიმე ძაღლმა შეაღწია. მათ შესაშინებლად მან პნევმატური იარაღი გამოიყენა, მაგრამ რომელიმეს მოკვლა განზრახული არ ჰქონია, ხოლო ეს როგორ მოხდა, მისთვის უცნობია.

პოლიციამ საქმე დახურა. მამაკაცს კანონი არ დაურღვევია, ვინაიდან ცხოველი მის კუთვნილ ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

# ბრიტანელებმა კამბერბეტჩის სახიანი შოკოლადის კურდღელი შექმნეს



დიდი ბრიტანეთის სამხრეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ბრაიტონში მეშოკოლადე ჯენ ლინდსეი-კლარკმა შოკოლადის კურდღლების სერია შექმნა, რომელთაც მსახიობ ბენედიქტ კამბერბეტჩის სახე მისცა. ყოველი ფიგურა, რომლის წონა 400 გრამს შეადგენს, 50 ფუნტი (დაახლოებით 70 დოლარი) ღირს.

37 წლის კონდიტერმა შოკოლადის ფიგურების საკუთარ ხაზს კამბერბანი დაარქვა. ტკბილეული, რომელსაც ამშვენებს ჰალსტუხები, რომელიც 22-კარატიანი საჭმელი ოქროთია და მბრწყინავი მტვრითაა დაფარული, დამზადებულია თეთრი, მუქი და რძიანი შოკოლადისგან.

– ნებისმიერი ისურვებდა ბენედიქტის ნაწილს. ერთი კურდღლის დედამისისთვის გაგზავნას ვგეგმავ, მაგრამ არა თავად მსახიობისთვის. მეტად უცნაური იქნება, თუ ის საკუთარ სახეს დააგემოვნებს, – განაცხადა ლინდსეი-კლარკმა. მან შოკოლადისგან ასევე შექმნა მსახიობის სრული სიმაღლის ფიგურა.

# შვედ პრინცესას შვილი შეეძინა



შვედმა პრინცესა ვიქტორიამ 2 მარტს იმშობიარა და ბიჭის დედა გახდა. ის ტახტის მემკვიდრე პრინცესასა და მისი მეუღლის პრინც დანიელისთვის მეორე შვილია.

ახალშობილი ქვეყანას სტოკჰოლმის კაროლინას საავადმყოფოში მოევლინა. პრინცმა დანიელმა განაცხადა, რომ ბავშვის სიმაღლე 22 დიუმს (დაახლოებით 56 სანტიმეტრი), ხოლო წონა რვა ფუნტს (3,6 კილოგრამი) შეადგენს. მისივე თქმით, ტახტის მემკვიდრე პრინცესა და ახალშობილი თავს კარგად გრძნობენ.

ტახტის მემკვიდრე პრინცესას ახალშობილი რიგით მესამე იქნება ტახტის მემკვიდრეთა სიაში, ვინაიდან მას ჰყავს უფროსი და ესტელი, რომელიც 2012 წლის 23 თებერვალსაა დაბადებული.

პრინცესა ვიქტორია შვედეთის მეფე კარლ XVI გუსტავისა და დედოფალ სილვიას შვილია. ის 1977 წლის 14 ივლისსაა დაბადებული. 2010 წლის 19 ივნისს ის ცოლად გაჰყვა დანიელ ვესტლინგს. პრინცესაზე დაქორწინების შემდეგ ყოფილმა ფიტნესინსტრუქტორმა პრინცისა და ვესტერიეტლანდიის ჰერცოგის ტიტული მიიღო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




# 4 მარტიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## გაბრიელ გარსია მარკესი

## ერთი ტყვეობის ამბავი

რომანი 1990-იან წლებში ნარკოდაჯგუფების მიერ კოლუმბიელი ჟურნალისტი ქალის, მარუხა პაჩონის გატაცების რეალურ ამბავზეა დაფუძნებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

# ბენზემას საფრანგეთის ნაკრებში არ გამოიძახებენ



კარიმ ბენზემა ევროპის ჩემპიონატზე არ ითამაშებს. საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დიდიე დეშამმა განაცხადა, რომ ის ბენზემას ნაკრებში გამოძახებას არ აპირებს.

– ბენზემას ადგილი ჩვენს ნაკრებში არ არის. ის უმაღლესი დონის ფორვარდია, მაგრამ მის გამოძახებას არ ვაპირებ. ეს ჩემი გადაწყვეტილებაა და ამ თემაზე სხვა კომენტარს აღარ გავაკეთებ, – განაცხადა დიდიე დეშამმა.

ბენზემა ნაკრებიდან მატიე ვალბუენასთან დაკავშირებული ინციდენტის გამო მოკვეთეს, როდესაც კარიმი ვალბუენას ინტიმური ვიდეოს გავრცელებით ემუქრებოდა. როგორც შემდეგ გაირკვა, თვითონ ბენზემა არ იყო შანტაჟით დაკავებული და ამას მისი მეგობარი აკეთებდა, თუმცა კარიმს ეს ინციდენტი ჯერ კიდევ ვერ აპატიეს საფრანგეთში და დეშამის გუნდში ბენზემა ზედმეტია.

# შტეფან ეფენბერგი პადერბორნის მწვრთნელი აღარ არის



წარსულში სახელოვანი ფეხბურთელი შტეფან ეფენბერგი სამწვრთნელო საქმიანობაში ჯერჯერობით ვერ აღწევს წარმატებებს.

ეფენბერგი ამჟამად 47 წლის არის და ბოლო პერიოდში ის გერმანიის მეორე ბუნდესლიგის გუნდის პადერბორნის მთავარი მწვრთნელი იყო. რამდენიმე დღის წინ პადერბორნის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ეფენბერგის დათხოვნის შესახებ, რაც გუნდის არადამაკმაყოფილებელი შედეგებით იყო გამოწვეული. პადერბორნს მეორე ბუნდესლიგიდანაც ემუქრება გავარდნა და ეფენბერგის ყოფილ გუნდს 24 ტურის შემდეგ მხოლოდ 19 ქულა აქვს.

შტეფან ეფენბერგმა კარიერის დიდი ნაწილი მიუნხენის ბაიერნში გაატარა, სადაც როგორც კარგი თამაშით, ასევე სკანდალებითაც გაითქვა სახელი.

# ფაბიო კანავარო შესაძლოა სასუოლოს თავკაცი გახდეს



ლეგენდარული იტალიელი მცველი ფაბიო კანავარო შესაძლოა სერია ა-ს გუნდის სასუოლოს მწვრთნელი გახდეს.

კანავარომ დიდი სურვილი გამოთქვა, რომ ის უახლოეს მომავალში რომელიმე იტალიურ გუნდს ჩაუდგეს სათავეში.

ბოლო პერიოდში ფაბიო ჩინეთში მუშაობდა.

სასუოლო ამჟამად ძალიან კარგად ასპარეზობს იტალიის ჩემპიონატში და გუნდი მე-7 პოზიციაზეა, რამ ამ კლუბისთვის უდიდესი წარმატებაა. სწორედ ამიტომ მისი მთავარი მწვრთნელი ეუსებიო დი ფრანჩესკო შესაძლოა რანგით უფრო ძლიერ გუნდში გადავიდეს, ამიტომ სასუოლო უკვე ეძებს მის შემცვლელს, რომელიც, თუ იტალიურ პრესას დავუჯერებთ, სწორედ ფაბიო კანავარო იქნება.

კანავარომ კარიერა 2009 წელს დაასრულა და ის იტალიური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მცველად ითვლება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**



# იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:
– შენი ქმარი სიგარეტს ეწევა?
– კი.
– ბევრს?
– მხოლოდ სექსის შემდეგ.
– მერე ჯანმრთელობის საქმე როგორ აქვს?
– კარგი ერთი, წელიწადში ორი-სამი ღერი სიგარეტი რა მოსატანია?!

●●●

დასმულ შეკითხვაზე: „ენდობით თუ არა მეუღლეს?“ მამაკაცების 60 პროცენტმა უპასუხა „არა“. „დიახ“ – 20 პროცენტმა, ხოლო კიდევ 20-მა პროცენტმა იკითხა – „ვის ცოლს?“

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:
– ნამდვილმა მამაკაცმა კვირაში ერთი ღამე მაინც უნდა გაათიოს სხვაგან.
– მართალია, გეთანხმები! სხვა ნამდვილ მამაკაცსაც ხომ უნდა ღამის გასათევი!

●●●

კაცი ქალს ეუბნება:
– მოდი, ეს ღამე ერთად გავატაროთ.
– ასეთი უტიფრობა არასოდეს მინახავს, სიტყვები არ მყოფნის აღშფოთების გამოსახატავად, – ეუბნება ქალი.
– სიტყვები საჭირო არ არის, თავის დაქნევაც საკმარისია.

●●●

ერთი ლოთი მეორეს ეკითხება:
– მეტსახელად ჯინს მეძახიან და ნეტავ რატომ?
– სადაც ბოთლი გაიხსნება, მაშინვე იქ ჩნდები და იმიტომ.

●●●

ორი თანასოფლელი კამათობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– აპა მითხარი, აგი პრტყელი ლიანდაგი როა გასტორებულ-გაშვლიპინებული, აგი მრგვალი ბორბლები რეიზა რახუნობს ზეთ?
– აპა შენ თუ მეტყვი, რას უდრის წრედის ფართობი?
– რას და პი ეს კვადრატს?
– ჰოდა მაგი კვადრატია, რო რახუნობს.

●●●

ლას ვეგასის კაზინოში ქართველმა თანაქალაქელი ნახა და გახარებული ეკითხება:
– აუ, ანზორია, რაფრა გამიხარდა შენი დანახვა! რომელ სასტუმროში გაჩერდი?
– ჯერ არ ვიცი, რაცხა ოთხი დღეა, რაც აქანე შემევედი.

●●●

სახლში დაბრუნებულ სიძეს სიდედრი კართან ცოცხით ხელში დახვდება. სიძე ეკითხება:
– რა, უკვე მიფრინავ?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. საყოველთაო ლოცვა დიდი რელიგიური დღესასწაულის დროს; 2. ჯიშის გასაუმჯობესებლად შერჩეული ცხოველის ან მცენარის საუკეთესო ეგზემპლარი; 3. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 4. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 5. სახელმწიფო რელიგია იაპონიაში; 9. ჩეხი დრამატურგი, მწერალი, ყოფილი პრეზიდენტი; 12. ვერცხლისწყლის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ებრაელთა სასულიერო პირი; 15. ესპანელი მხატვარი; 17. ფუტკრის მიერ გამომუშავებული მოყვითალო ფერის ნივთიერება; 18. ცელქი, მოუსვენარი ბავშვი.

**თარაზულად**: 6. დაქირავებული კავალერი; 7. რაიმეს ნაირსახეობა, სახეცვლილება; 8. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ცეცხლგამძლე თიხა; 10. სითხის საქაჩი მოწყობილობა; 11. წმინდანად შერაცხული ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 16. გაერთიანებული ერების საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 16. დამოუკიდებელ ფერმერთა დასახლება ისრაელში; 19. ციხე-სიმაგრე თბილისში; 20. ნივთიერების დაშლის პროცესი მაღალ ტემპერატურაზე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

